ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე რუსული ოკუპაცია“ გვ.4

25 დეკემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



შაბათი – კვირა, 29 – 30 დეკემბერი, 2018 | №309 (7854) | ფასი: 60 თეთრი

# „ივანიშვილი გაზაფხულზე ახალი პარტიების შექმნას დაიწყებს“



„ოცნებაში“ ერთმანეთის ჭამა დაიწყეს და ვინც გადარჩება, ოლიგარქი მას შეიყვანს ახალ პარლამენტში“ გვ.3



## მეუფე პეტრე პატრიარქს დაუპირისპირდა?



„ჩემთვის, როგორც ჭყონდიდელი მიტროპოლიტისთვის, საბოლოოდ დაიმსხვრა მითი პატრიარქის მწყემსი კეთილობის შესახებ“ გვ.2

## ნაზი ჯანეზაშვილი: „მურუსიძემ პირდაპირ აღიარა, რომ სასამართლოში რაღაც დაჯგუფების ხელმძღვანელია“

„მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანმა იგრძნო, რომ მათ ძალაუფლებას საფრთხე ემუქრება და საზოგადოების წინააღმდეგ გაიბრძოლეს“ გვ.2



## გედევან ფოფხაძე: „მოსამართლეთა ამ სიის გასვლა გამორიცხულია“

გვ.2





## ლევან ჩაჩუა: „მართლმსაჯულების დაქაობებული სისტემა უფრო მყარდება და მყაყდება“

გვ.5

**სამართალი** გვ.7



სასამართლომ „ბახალა“ უდანაშაულოდ ცნო

გორში 70 წლის ლილი დათუკიშვილი მოკლეს





მამუკა ჩოქურის „ტოიოტა პრადო“ კაპიუშონიანმა პირმა დაწვა

ბესო ბარათელი და ია გვიშიანი გარდაცვლილი იპოვეს



ისინი 1 თვის დაქორწინებულები იყვნენ

ISSN 1987-9385

5 ვახტანგ მაისაია: „ეროვნული უსაფრთხოების საბჭო პრემიერ-მინისტრს უნდა დაექვემდებაროს“

11 ქართველი დიზაინერები სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის გაერთიანდნენ

5 ტრამპი: „ამერიკა მსოფლიო პოლიციელი ვერ იქნება!“

7 ალმაშენებლის ხეივანში ტაქსი მეეზოვეს დაეჯახა – 70 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა

# გედევან ფოფხაძე: „მოსამართლეთა ამ სიის გასვლა გამორიცხულია“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***— ბატონო გედევან, ეკა ბესელია ამბობს, რომ მისთვის პრინციპული საკითხია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სია. თქვენ მის გადადგომას რას უკავშირებთ?***

— პარასკევს უნდა გამართულიყო კომიტეტის სხდომა, სადაც ეს საკითხი უნდა განხილულიყო. თუმცა, მისთვის და გარკვეული ჯგუფისთვის მიუღებელი იყო კომიტეტზე ამ საკითხის გატანა. ამიტომ ბესელიამ ასე დააყენა საკითხი, რომ ის გადადგებოდა თანამდებობიდან, თუ ამასვე იზამდა ვანო ზარდიაშვილი.

***— ზარდიაშვილი ლობირებს ამ სიას?***

— დიახ, რა თქმა უნდა. მე მიმაჩნია, რომ არავინ არ უნდა ლობირებდეს, ეს არ არის სწორი. ვანო თუ თვლის, რომ ამ ხალხს უნდა დაუჭიროს მხარი, მაშინ თქვას, რატომ.

***— პოლიტოლოგები ამ პროცესს ასე აფასებენ: საკუთარი ადგილის ძებნა იწყება. შეიძლება, მართლაც ამ მიმართულებით განვითარდეს პროცესები?***

— ჩვენ ვეძებთ პოლიტიკაში ადგილს? მე კარგად ვიცი ჩემი ადგილი პოლიტიკაში. მეც და ეკასაც პოლიტიკაში კარგა ხანია, ჩვენი ადგილი გვაქვს. ჩემთვის უმთავრესი მორალური ვალდებულებებია, რასაც ბოლომდე დავიცავ.

ეკა ბესელია თავისი შვილისა და ძმის დამჭერ მოსამართლეს მხარს არ დაუჭერს. ვისაც აქვს ეს მორალური პრობლემები, მათ თავად მიიღონ გადაწყვეტილება. ეს არ არის პოლიტიკაში ადგილის ძებნა. არაფერი მოსაძებნი არ გვაქვს, ჩვენ ჩვენი ადგილი გვაქვს. ჩვენ მოვიქცევით ისე, როგორც ჩვენი მორალი და ზნეობა გვიკარნახებს.

ვიღაცებისთვის მორალი და ზნეობა ჩინური ქალაქებია. ამ ადამიანებისთვის სულ ერთია, რა პარტიაში იქნებიან და რა პოლიტიკური გუნდის



წევრები იქნებიან. გუნდურობას ნუ ამოეფარებიან. ნუ გველაპარაკებიან გუნდურობაზე.

***— გუნდის ნაწილისთვის რატომ არის ეს სია მისაღები, რატომ უჭერენ მხარს, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— ამაზე თვითონ გასცენ პასუხი, რატომ უჭერენ. გუნდში არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ თავიანთი მორალური სტანდარტი, ბრძოლით მოვიდნენ ამ გუნდში და წავიდნენ იმიტომ, რომ ამ ღირებულებებს იცავდნენ და გუნდში არიან ადამიანები, რომლებიც შემთხვევით არიან მოხვედრილები, რომლებსაც თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ პოლიტიკური კონიუნქტურის სამსახური.

ყველა გუნდი მრავალფეროვანია, არ შეიძლება, მხოლოდ ცუდები და მხოლოდ ღირსეულები იყვნენ. ეს გუნდიც მრავალფეროვანია. ადამიანები, რომლებიც ღირებულების ერთგულები არიან, ამ შემთხვევაში გაერთიანდებიან და დაიცავენ გუნდის ღირსებას.

***— შეიძლება, ეს პროცესი „ქართული ოცნების“ გაყოფით დასრულდეს? უახლეს ისტორიაში მმართველი პარტიების გაყოფა უცხო არ არის.***

— არ ვიცი, მე ვიცი, რომ ამ მოსამართლეების სიასთან დაკავშირებით ყველა ღირსეული პარლამენტარია გაერთიანებული. ვისაც საქართველო და მისი მომავალი უყვარს, არის გაერთიანებული. იმის იქით მერე გავარკვევთ სხვა საკითხებზე ჩვენს განსხვავებულ აზრებს.

ვინც ამ საკითხში ქართველ საზოგადოებას დაუპირისპირდება, ის გაიყოფა კი არა, ჩაირეცხება და თავის პოლიტიკურ არსებობას დაამთავრებს. თუ არ დაამთავრებენ, მალე მათთვისაც მოვიცლით.

***— შეიძლება, პოლიტიკური პროცესების დეტონატორი გახდეს ეს სია?***

— ეს სია წყალგამყოფია მორალური თვალსაზრისით. ვისაც მიაჩნია, რომ ამ პროცესს შეიძლება მხარი დაუჭიროს, მე იმ ადამიანებთან კითხვა არ მაქვს. ვინც ამბობს, რომ ლიდერშიპმა გადაწყვიტოს, ეს ლიდერშიპი ჩემი არჩეულია. ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს უმრავლესობამ და არა — ლიდერშიპმა.

***— შეიძლება, ეს სია გავიდეს?***

— მე გამოვრიცხავ. ეს იქნება ქართველი ხალხისთვის ძალიან დიდი შეურაცხყოფის მიყენება. მე გამოვრიცხავ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ჩემი კოლეგების უმრავლესობა სწორ პოზიციაზეა. კერძო საუბრებზე ღიად ვერ ვისაუბრებ ინტერვიუში, თუმცა, მე ვიცი ჩემი კოლეგების უმრავლესობის პოზიცია და ამიტომ გამოვრიცხავ ამ სიის გასვლას.

უმრავლესობის წევრთა უმრავლესობა ხვდება ხალხის წინაშე აღებულ მორალურ ვალდებულებას. თუ ვიღაცას უნდა, რომ სხვანაირად წარმოაჩინოს, ეს ის ხალხია, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ამას ვერ ბედავდნენ. მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ფასად, რაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს სია არ უნდა გავიდეს. ამ სიის გატანა არ შეიძლება, რადგან ეს იქნება ჩვენი შვილების მომავლის დასასრული.

ქვეყანას, სადაც სამართალი არ არის და ადამიანს აქვს განცდა, რომ ის სამართალს ვერ იპოვის, არანაირი პერსპექტივა არ აქვს.

# მეუფე პეტრე პატრიარქს დაუპირისპირდა?

## „ჩემთვის, როგორც ჭყონდიდელი მიტროპოლიტისთვის, საბოლოოდ დაიმსხვრა მითი პატრიარქის მწყემსი კეთილობის შესახებ“

შორენა მარსაგიშვილი

**ქართულ ეკლესიაში დაპირისპირების ახალი ტალღა იწყება. 27 დეკემბერს გამართულ სინოდის სხდომაზე მამა გიორგი მამალაძის საკითხი უნდა განხილულიყო. ამ საკითხის დაყენებას ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მეუფე პეტრე აპირებდა, მაგრამ მას საშუალება არ მიეცა.**



მეუფე პეტრე მიიჩნევს, რომ ამით ეკლესიაში არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბობს. მისთვის მითი, რომ პატრიარქი არის მწყემსი კეთილი, დაიმსხვრა.

ტვ პირველის ეთერში საუბარისას ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ როგორც კი მან მამა გიორგის საკითხი დააყენა, პატრიარქი ღვთისმშობლის ხატისკენ შებრუნდა და გვერდით მჯდომ მღვდელმთავარს სინოდის დასრულების ლოცვის წაკითხვის ნიშანი მისცა.

მეუფე პეტრემ დეკანოზის საქმე 1984 წელს მღვდელ თეიმურაზ (თეოდორე) ჩიხლაძის დახვრეტას შეადარა. მაშინ თვითმფრინავის ბიჭების საქმეზე უდანაშაულო მოძღვარი ეკლესიამ ბრალდებისგან ვერ იხსნა.

— მიუხედავად იმისა, რომ მე იმ წლებში პატარა ვიყავი ასაკით, გავიხსენე 1983 წელი, თვითმფრინავის გატაცების საქმე, საბჭოთა პერიოდი და გავიხსენე ის ფაქტი, როცა საბჭოთა ეპოქის საქართველოს ეკლესიამ ვერ დაიცვა მისი მღვდელი. მაშინ ბევრი ტალახი მესროლეს და ისიც კი მითხრეს, რომ მაშინ პატრიარქმა ბრეჟნევს მისწერა წერილი, არადა მაშინ ბრეჟნევი გარდაცვლილი იყო, მერე თქვეს, რომ ანდროპოვს მისწერაო, თუმცა ცეკას მდივანთან მიმართებაში არანაირი წერილი არ არსებობს.

ჩვენ ვერ დავიცავით მაშინ უდანაშაულო მღვდელი და დღესაც, როდესაც დადგება დრო და ღმერთის წყალობით ციანიდის საქმე იქნება შესწავლილი, არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ საქმეზე მოითხოვონ პარლამენტარებმა საპარლამენტო კომისიის შექმნა. ეს არის უმნიშვნელოვანესი საქმე და ქართველმა ერმა უნდა იცოდეს სიმართლე. 27 დეკემბერს სინოდის სხდომაზე რაც მოხდა, — აღნიშნა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა.

გადაცემის წამყვანის კითხვაზე, იზიარებენ თუ არა სხვა მღვდელმთავრები მის მოსაზრებას, აღნიშნა, რომ ის საკუთარ პოზიციას ახმოვანებს.

სასულიერო პირებს რაც შეეხება, მინდა გავიხსენო ჩემ მიმართ უტიფარი, მკრეხელური, ცილისმწამებლური და თითქოს მამხილებელი განცხადებები, როცა მე ციანიდის საქმეზე ვსაუბრობდი, მითხრეს, რომ მე მაშინ სინოდზე უნდა დამესვა საკითხი და არ მესაუბრა გარეთ. ახლა მოვუწოდებ მე ფარისევლებს, გამოვიდნენ და დაიჭირონ სიმართლის მხარე მაშინ, როცა მე არ მომეცა საუბრის საშუალება ციანიდის საქმეზე. საზოგადოებამ განსაჯოს, ჰქონდა თუ არა სინოდს ვალდებულება, სასამართლოს ბოლო ინსტანციის შემდეგ ესაუბრა, მას შემდეგ, რაც ციანიდის საქმის გადაწყვეტილების მეორე დღეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გადადგა.

მაშინ როდესაც ვსაუბრობდი ჯერ უკრაინის თემაზე და შემდეგ ვთქვი, რომ უკრაინის საკითხის გარდა აუცილებლად მიმაჩნია, რომ წმინდა სინოდზე იქნას განხილული ჩვენი უდანაშაულო მღვდლის თემა და ციანიდის საქმე, მითხრეს რეპლიკებით, რომ როდესაც ამოიწურება საკითხი უკრაინის შესახებ, შემდეგ გადავალთ სხვა საკითხებზე.

სხვა საკითხებიც გაგრძელდა და ბოლოს, როდესაც მივედი მიკროფონთან და დავიწყე საუბარი, მინდა საჯაროდ ვთქვა და იცოდეს ქართველმა საზოგადოებამ, რომ პატრიარქი წამოდგა და შებრუნდა ღვთისმშობლის ხატისკენ, ანუ სინოდის დასრულების ლოცვა დააწყებინა მის გვერდით მყოფ მღვდელმთავარს. მე დღეს სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გაჩენილი ბზარი, რომელიც ჩემში არსებობდა გარკვეული პერიოდი და განსაკუთრებით ბოლო მოვლენების შემდეგ, 27 დეკემბერს საბოლოოდ დაიმსხვრა მითი პატრიარქის მწყემსი კეთილობის შესახებ, ჩემთვის პირადად, როგორც ჭყონდიდელი მიტროპოლიტისთვის, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

* * *

მეუფე პეტრეს ამ განცხადებას აუცილებლად მოჰყვება დიდი სკანდალი. არ არის გამორიცხული, მას უფლებამოსილებაც კი შეუჩერდეს.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „მურუსიძემ პირდაპირ აღიარა, რომ სასამართლოში რაღაც დაჯგუფების ხელმძღვანელია“

## „მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანმა იგრძნო, რომ მათ ძალაუფლებას საფრთხე ემუქრება და საზოგადოების წინააღმდეგ გაიბრძოლეს“

იაგო ნაცვლიშვილი

27 დეკემბერს ლევან მურუსიძე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ აირჩია, რასაც მწვავე კრიტიკა მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. არის თუ არა გამოსავალი შექმნილი რთული მდგომარეობიდან და რაში მდგომარეობს ეს? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი საუბრობს:

***— 27 დეკემბერს ლევან მურუსიძე იუსტიციის საბჭომ მოსამართლედ უვადოდ აირჩია. საბჭოს მოსამართლე წევრები არ აპირებენ დათმობას და ბრძოლაში შედიან არა მხოლოდ თქვენთან, არამედ საზოგადოებასთანაც და არის თუ არა ღია კონფრონტაცია პარლამენტთანაც?***

— საინტერესო საუბარი იყო ლევან მურუსიძესთან გასაუბრებაზე, რომელმაც ბევრ საკითხზე უპასუხა კითხვებს და ბევრ საკითხს ნათელი მოჰფინა. მაგალითად, მან თქვა, რომ მათ ისეთი რაღაცები გამოუვიდათ ბოლო 5 წელში, რომ თვითონაც გაკვირვებულები არიან. ეს ფრაზა, რომელიც მან თქვა, ძალიან ბევრის მთქმელია ჩემთვის.

***— რას ნიშნავდა ეს თქვენთვის?***

— იმიტომ, რომ სწორედაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამე შეიცვალა საბჭოსთან და სასამართლოსთან მიმართებაში იმ თვალსაზრისით, რომ სისტემა გახდა უფრო დამოუკიდებელი. დამოუკიდებლობის ხარისხთან ერთად ძალიან დიდი პრობლემა შეიქმნა ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით, რადგან სასამართლო სისტემის ანგარიშვალ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი გაზაფხულზე ახალი პარტიების შექმნას დაიწყებს“

## „ოცნებაში“ ერთმანეთის ჭამა დაიწყეს და ვინც გადარჩება, ოლიგარქი მას შეიყვანს ახალ პარლამენტში“

შორენა მარსაგიშვილი

**რა პროცესები დაიწყო მმართველ გუნდში, რა ჩაიფიქრა ბიძინა ივანიშვილმა, რისი სიმბოლო გახდა ლევან მურუსიძე, რატომ უნდა გვაჩვენოს გახარიამ თავისი პასპორტი, რატომ დადუმდა სალომე ზურაბიშვილი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

***— ლევან მურუსიძის უვადო მოსამართლედ დანიშვნამ საქოცეთში დიდი წიოკი გამოიწვია. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— იყო და არა იყო რა, პატარა და ღარიბ სამეფოში ერთი უზომოდ მდიდარი კაცი ცხოვრობდა, რომლის გარეშე ცაში ფრინველი და მიწაზე ადამიანი ვერ გაიჭაჭანებდა. ყველა ლამობდა, რომ როგორმე ამ მდიდარი კაცის კეთილგანწყობა მოეპოვებინა.

ერთხელაც ამ მდიდარ კაცს მოსწყინდა ქვეშევრდომების გაუთავებელი ლიქნი, მოატანინა დიდი რკინის კასრი, ჩაყარა ყველანი იქ და განაცხადა: „ვინც ცოცხალი გამოვა, იმას წავახალისებ და ვუპატრონებ“. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. აი, ეს არის ბატონებო გამომურუსიძებული „ოცნების“ ნამდვილი სახე ოჯახურ ინტერიერში.

„ქართულ ოცნებას“ წესით „ჩემი ზმანება“ უნდა ერქვას – რაც ეზმანებათ ამ გუნდში შეყრილ მდედრებსა თუ მამრებს, ის ქართველი ხალხის მოტყუების ხარჯზე აიხდინეს. სამართლიანობის აღდგენას დაგვპირდნენ და ამის სანაცვლოდ მურუსიძეების და ჩინჩალაძეების სასამართლო მოგვიტანეს. ეს არის დაუშვებელი და სამარცხვინო. ეს არის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთაც პოლიტიკური მოუსავლეთისკენ ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს.

„ოცნების“ პოლიტიკურ მოუსავლეთში წასვლა ნაკლებად მადარდებს, მე ის მაწუხებს, რომ ქართველი ამომრჩევლის გაბახება მოხდა. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს და „ოცნების“ ფერდაკარგულ ქურუმთ-ქურუმს ვგულისხმობ, რომელიც იხვეწებოდა, ქართველებო, ერთი წელი კიდევ მომეცით და ნახეთ, რას ვიზამო, რაც ქნა, ვნახეთ – მურუსიძეს უვადო მოსამართლეობა მისცა, ხოლო ქართველ ლიონელ მესის, თამარ ჟვანიას, მეორე ვადით ცესკოს თავმჯდომარეობა უბოძა. გაყალბების დარგში თამარ ჟვანია მესიზე უკეთესიც კია. აი, ამას ჰქვია ამომრჩევლის მოღორება და გაბახება.

მივმართავ სალომეა დიადს – ამოიღეთ ქალბატონო, სირინოზის ხმა და მოგვახსენეთ თქვენი აზრი. ევროპულად რომ გაიძახით მაშვინ, გააკეთეთ განმარტებები – საარჩევნოდ კარტოფილის და ხახვის დარიგება თქვენთვის დემოკრატია იყო, სტრასბურის სასამართლოს დაწუნებული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნაც ევროპეიზმია? ან იქნებ ის არის დემოკრატია, დასავლეთის მიერ უარყოფითად შეფასებული არჩევნების შემოქმედი, ცესკოს თავმჯდომარედ რომ მეორე ვადით დაინიშნა.

***— ივანიშვილს ეს მურუსიძე ასე ძალიან რატომ უყვარს, ნიცშეს ციტატები იცის კარგად თუ წინა ცხოვრებაში იცნობდა გერმანელ ფილოსოფოსს?***

— რატომ უყვარს და მისი ერთგულია. ლევან მურუსიძე ყველა ბინძური საქმის შემსრულებელია. ის ბინძურ დავალებებს ასრულებდა წარსულში, ასრულებს აწმყოში და შეასრულებს მომავალშიც. ასეთი ხალხი ჰაერივით სჭირდება „ქართულ ოცნებას“. მურუსიძესთან ერთად მოხდა იმ მოსამართლეების წამოტივტივება, ვისაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ემყარებოდა.

მივმართავ ქოცისტანის ფეისბუქის ლომებს, სადა ხართ, სად გაუჩინარდით, მურუსიძის დანიშვნაზე ამოიღეთ ხმა. მურუსიძის უვადოდ დანიშვნის გამო მოუწოდებდით ხალხს, სალომე ზურაბიშვილს მიეცით ხმაო?

ამ ყველაფერთან დაკავშირებით ხალხის აზრი ძალიან კარგად გამოხატა ქუთაისელმა ქალბატონმა ნატო დანელიამ. ამ ქალბატონის პოსტში ნათლად არის წარმოჩენილი „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების სამარცხვინო ანატომია.

აი, რას წერს ეს ქალბატონი: „ერთი დედას არ იცნობს, მეორე დედას ქირას უხდის, მასთან რომ ბინაში იცხოვროს, მესამე დედას გვარს უცვლის, მეოთხე ამბობს, დედა ოჯახის წევრი არ არისო, მეხუთე დედას სასამართლოში უჩივის. რა დედამ გშობათ, თქვე დალოცვილებო“.

რაც შეეხება ბიძინას იუსტიციის საბჭოს, ეს არის მავნებლების გაერთიანება. „ოცნება“ დამნაშავეა იმაში, რომ 2016 წელს ისეთი კანონი მიიღო, რომლითაც შენარჩუნდნენ სალახანა მოსამართლეები.

„ოცნების“ გემმა ჩაძირვა დაიწყო და მალე ვირთხები დაიწყებენ გაქცევას. ზოგიერთს გმირის მანტიის მოსხმა მოუნდა. დაგიჭამიათ ერთმანეთი და რაც მალე წახვალთ პოლიტიკურ მოუსავლეთში, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

იქნებ ახლა მაინც მიხვდეს გაბრუებული ამომრჩეველი, რომ ქვეყნის განვითარებას მრავალპარტიული პარლამენტი სჭირდება. საქართველოში არანაირი დემოკრატია არ არსებობს. ქვეყანა ერთი ოლიგარქის ჩართული ტაიმერით ცხოვრობს. ეს სიმახინჯე თუ არ შევცვალეთ, სახელმწიფო თავზე ჩამოგვემხობა.



არც გამსახურდიას, არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის დროსაც კი ხელისუფლებაში მოკალათებულ ჩინოსნებს ისეთი ედემური პირობები არასდროს ჰქონიათ, როგორც ახლა აქვთ.

„ქართულ ოცნებაში“ მოღვაწეობას ჯერ იწყებენ მინისტრობით და მერე იღებენ დიპლომებს. ამაზე დიდი მარაზმი თუ სადმეა, არ ვიცი. ეტყობა, სადღაც გაიგონეს, „სწავლა სიკვდილამდე შენია“–ო და დაიწყეს მოქმედება – ჯერ ტონობით ვაზელინი გადაისვეს, შეუძვრნენ ქურუმთ-ქურუმს, მიიღეს თანამდებობები და მერე მოინდომეს ხარისხები და დიპლომები.

მმართველ გუნდში ყოველი მეორე ასეთია. ასეთი ძალა არაფრის შემქმნელი არ არის. იმისა არ იყოს, ქართველმა ფუშემ რომ ჩახერგა კახეთში გზები.

***— გიორგი გახარიაზე ამბობთ ფუშეო?***

— გახარიაზე ვამბობ, ოღონდ ირონიით. ჩვენმა ნაქებმა, თვალებისჩამპაჭუნებელმა შს მინისტრმა ისეთი სიამაყით თქვა, ოპოზიცია თელავში არ შევუშვიო, თითქოს მტრები გადაეყარა ფსოუს მიღმა.

მივმართავ გიორგი გახარიას, შენი პასპორტი აჩვენე საქართველოს. უნდა ვიცოდეთ, რომელი ქვეყნის მოქალაქეა საქართველოს მთავარი პოლიციელი. იქნებ ისევ რუსეთის მოქალაქე ხართ. იმ რუსეთის მოქალაქე, რომელმაც მიწები წაგვართვა. ის ვერ გაგვაგებინე, რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ და დამნაშავეებს როგორ დაიჭერ? თვალის ჩაპაჭუნება და დენიკინის დროინდელი ქალების გულის მოგება რომ შეგიძლია, ეს ვიცით.

ქართველი ფუშე რუსეთში ბიზნესსაქმიანობას რომ ამთავრებდა და აქ შს მინისტრად ინიშნებოდა, ჯერ კიდევ მაშინ ვთქვი, თბილისი იარაღით არის გაძეძგილი და ეფექტური მუშაობაა საჭირო.

***— ეს განცხადება თქვენ ჩვენთან ინტერვიუში გასული წლის ნოემბრის დასაწყისში გააკეთეთ. ეს „ოცნებამ“ გაატარა, რამდენიმე კვირაში თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციისას ვნახეთ, რომ ტერორისტებს შუა ქალაქში ლამის სამხედრო ბაზა ჰქონდათ მოწყობილი.***

— ამის გარდა, კიდევ რამდენი რამე მოხდა. იმის ნაცვლად, რომ კრიმინალებს და შეიარაღებულებს სდიოს, შს მინისტრი რამდენიმე ასეულ ნარკომომხმარებელს ბოდიშს უხდის, დენიკინის დროინდელ მანდილოსნებს თვალს უპაჭუნებს, ხან საყელოს აიწევს და ხან ვის ემსგავსება, ხან ვის.

მოაწონოს ქალებს თავი, ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ საქმეს როდის გააკეთებს? გაივსო ქვეყანა შეიარაღებული ხალხით. ახალგაზრდებს შარვალში რომ აქვთ გარჭობილი იარაღები, ვერ ამჩნევთ ამას? იქნებ არც ის იცით, თბილისის ყველა უბანში ნარკოტიკები რომ იყიდება და ნარკომანები წამლის ბარიგების მოსვლას დილიდან დაღამებამდე ელოდებიან?

რატომ ვერ ხერხდება სახელმწიფო საზღვრების კონტროლი?! აგვიხსნან, როგორ შემოაქვთ ირანელ ტურისტებს საქართველოში სხვადასხვა სახის ნარკოტიკები. არ მესმის, რატომ ვერ ხერხდება იმ საიტების გაკონტროლება, რომლებიც ნარკოტიკებს ყიდიან.

ისიც კარგად მესმის, რომ გახარიას სხვა მისია აკისრია, მაგრამ დამნაშავეობასთან ბრძოლაც საჭიროა.

***— სხვა რა მისია აკისრია გახარიას?***

— გრაალის მცველი და ბიძინა ივანიშვილის სიწმინდეების მცველია. ივანიშვილის სიწმინდეებს სდარაჯობს კიდევ ორი მინისტრი. ჩიტირეკია და გაუგებრობა გიორგი ქობულია სამყაროს მერვე საოცრებაა. ცივი თვალებით რომ ჭკუას გვასწავლის ფინანსთა მინისტრი, ეგ მსოფლიოს მეცხრე საოცრებაა.

ამიტომ ვამბობ, კასრი შეკრული და დადუღებულია. იქ „ოცნების“ წევრები არიან მოთავსებული და ვინც გადარჩება, იმათ მიხედავს ივანიშვილი.

მმართველ პარტიაში ყველამ კარგად იცის, რომ „ქართული ოცნება“ მომდევნო არჩევნებზე ბუს კვერცხების გარდა ვერაფერს ვერ მიიღებს. ყველა გათვლით, „ოცნება“ უნდა დამარცხდეს.

მამა და მარჩენალს სადღაც წამოსცდა, რომ მას შვიდი-რვა პარტია სჭირდება პარლამენტში. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, „ოცნება“ დაიშლება. შეიქმნება ახალი ფრაქციები და პარტიები.

ისინი ერთმანეთის დაჭმას შეუდგებიან. ვინც უფრო მეტად ამოიღებს ხმას და მარჩენალს ერთგულებას დაუმტკიცებს, იმას ექნება პარლამენტში მოხვედრის შანსი. როგორც 2016 წელს დადეს, მომავალშიც ასევე დადებენ. ამიტომაც გამოაჩინა ზოგიერთმა წლის ბოლოს კბილები. პირდაპირ გეტყვით, აქ არაფერ შუაში არ არის სასამართლო რეფორმა და ცუდი მოსამართლეების მიყვან-მოყვანა. ეს მოსამართლეები უკვე

## „გახარიამ თავისი პასპორტი გვაჩვენოს, რომელი ქვეყნის მოქალაქეა“

ექვსი წელია, რაც ჩანან, მაგრამ აქამდე ხმა არავის ამოუღია.

მივმართავ მმართველი გუნდის წევრებს – თქვენი შიდა გარჩევები სახელმწიფოებრივ გულყრებად ნუ მოგაქვთ. მძიმე სახეებით ნუ გამოდიხართ ტელევიზორებში და ნუ იძახით, ამას და ამას ვიტყვი. ვერაფერსაც ვერ იტყვით.

***— რატომ ვერ იტყვიან, სათქმელი, წესით, ყველას ექნება.***

— სათქმელი ყველას აქვს, მაგრამ ერთი თუ იტყვის მეორეზე სიბინძურეს, მეორეც იტყვის იმ პირველზე რაღაცას და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად. ამიტომაც ვამბობ, რომ გამომურუსებულია ეს „ოცნება“.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ ივანიშვილს წამოსცდა, პარლამენტში შვიდი-რვა პარტია მინდაო. ეს შვიდი-რვა პარტია „ოცნების“ ნარჩენებისგან შეიქმნება?***

— ივანიშვილს სურს, რომ მომავალი პარლამენტი ისევ ამ ძალისგან დააკომპლექტოს, მაგრამ იცის, რომ არჩევნებზე ბუს კვერცხების გარდა ვერაფერს მიიღებს. ამიტომაც შექმნის რამდენიმე სატელიტურ პარტიას. სატელიტური პარტიების შექმნა გაზაფხულიდან დაიწყება.

მათ გარდა, ივანიშვილი პარლამენტში ნაციონალებს და „ევროპულ საქართველოსაც“ შეიყვანს. სხვათა შორის, ამ ორ პარტიაშიც საკმაოდ მძიმე პროცესები მიდის.

დღევანდელი „ოცნების“ ბაზაზე რამდენიმე ჯიბის პარტიას შექმნის. სწორედ ივანიშვილისთვის თავის მოსაწონებლად ჭამენ ახლა ქოცისტანში ერთმანეთს. აქ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ძველ და ახალ გვარდიას. ამ გვარდიას რომ ასე წამდაუწუმ ახსენებენ, დარწმუნებული ვარ, გვარდიის იდეოლოგიაც კი არ იციან, რა არის.

***— ძველს და ახალს რა უჭირს, კიდევ კარგი, თეთრ და წითელ გვარდიად არ გამოაცხადეს თავი.***

— რა თეთრი და წითელი გვარდია, ესენი არიან ჩვეულებრივი ჭინკები, რომლებსაც უფრო ნაკლები ენერგია აქვთ, ვიდრე ნაცებს ჰქონდათ.



**გიგლა ბარამიძე: „მომდევნო არჩევნებზე მმართველი პარტია ბუს კვერცხების გარდა ვერაფერს მიიღებს“**

ქოცისტანის არსებობის ერთადერთი დედააზრი არის ის, რომ რაც შეიძლება მეტი მოქაფონ.

გამომურუსიძებულ ქოცისტანში უმეტესობა არარაობიდან მოსული ხალხია. მათ უზარმაზარი ქონება იშოვეს და ახლა გადაწყვიტეს, მდგომარეობა შეიქმნან. თუკი ვინმე ჰყავთ გარშემო, ყველასთვის ხარისხების მოპოვებას ცდილობენ. უნდათ, ნულიდან ბიოგრაფია შეიქმნან. მდაბიორებისთვის ასეთი რამე დამახასიათებელია.

ქოცისტანში დაინახეს, რომ მათი კეთილდღეობის საფუძვლები ირყევა და დაიწყეს ერთმანეთის დაჭმა. ერთმანეთს ფიზიკურად ვერ იტანენ, მაგრამ არც ის უნდათ, რომ მათზე ვინმემ თქვას, ვირთხებივით ჭამენ ერთმანეთსო. ამ დაჭმას რაღაც იდეით აკეთილშობილებენ. ამ იდეას მურუსიძე დაარქვეს.

***— გამოდის, რომ მურუსიძე ამათ მხსნელად მოევლინათ.***

— მურუსიძე არის კონფორმიზმის და მლიქვნელობის სახე. დღეს საქართველოს ჰყავს ისეთი პრეზიდენტი, როგორიც უნდა ჰყავდეს, საქართველოს ჰყავს ისეთი მმართველი პარტია, როგორიც უნდა ჰყავდეს. საქართველოს ჰყავს ისეთი პარლამენტის სპიკერი, როგორსაც ის იმსახურებს.

ეს ხალხი ციდან არ მოსულა და არავის არ გამოუგზავნია, ისინი იმ გრდემლში გამოიჭედნენ, რასაც წარმოადგენს ქართული საზოგადოება. ესენი მედიის ყურადღების ცენტრში არიან და ამიტომ ჩანს მათი სითახსირე, მაგრამ აბა შევიხედოთ სამზარეულოებში, იქაც იგივე სიტუაცია დაგვხვდება.

ჩვენ იმ საზოგადოებას წარმოვადგენთ, რომელმაც ვიღაცას უნდა დაუჩოქოს, ვიღაცას ხელზე აკოცოს, ვიღაცა სადღაცას უნდა წაიკუზოს-წამოიკუზოს. ამ საზოგადოების პირმშოა ლევან მურუსიძე.

ვიდრე ჩვენი საზოგადოება თავის თავში არ ჩაიხედავს და უმწვავესად თვითკრიტიკული არ გახდება, არაფერი არ გამოგვივა. ერები, რომლებიც თვითკრიტიკულები იყვნენ, მოახერხეს და შეიცვალნენ.

ჩვენ კი გვგონია, რომ ძალიან მაგრები ვართ და მხოლოდ მურუსიძეა ცუდი. არადა, ქართველების დიდ ნაწილში ზის მურუსიძე.

ქართველ ერს უნდოდა, რომ ჰყოლოდა ბიძინა. ეს უკანასკნელი საქართველოს იმას უშვრება, რაც უნდა. მე ეს ადამიანი არც მიყვარს და არც მძულს. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ცუდია, ყველაფერი ამ ერთი კაცის ნებელობის ქვეშ რომ მოექცა.

ამ საზოგადოებამ შვა გახარიაც. ამ პერსონაზე ბევრს ვლაპარაკობ, მაგრამ, როგორც ამბობენ, შესაძლოა, პრემიერად მოგვევლინოს და ღირს ყურადღების გამახვილება.

თავის კარიერაში მან ორი საკრალური სიტყვა თქვა – ბოდიში და ჩაგაგდებ. ბოდიში მოიხადა, როცა 2.000 ნარკომანი ერთად შეკრებილი დაინახა. ჩაგდებით კი ოპოზიციას დაემუქრა. ოპოზიციას ინტელექტიც დაუწუნა, ვითომ თავად სოფოკლე ან სენეკა მყავდეს.

ქართველი საზოგადოება ბევრ შეცდომას უშვებს. ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ისაა, რომ გამუდმებით ბელადის მოლოდინში ვართ. ამიტომაც გამუდმებით ვკითხულობთ – გვეშველება რამე? დროა ამ კითხვას გადავეჩვიოთ. ამ კითხვის დასმა ნიშნავს, რომ მშველელს ველოდებით.

გვეშველება რამის კითხვას ჯობია, მოქმედებაზე გადავიდეთ და იმაზე ვიფიქროთ, მტერს როდის დავამარცხებთ და დაკარგულ ტერიტორიებს როდის დავიბრუნებთ.

2018, 29 — 30 დეკემბერი, №309

# კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე რუსული ოკუპაცია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***— ბატონო კახა, ეკა ბესელიას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგომის შემდეგ აქტიურად დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ გუნდში სერიოზული დაპირისპირებაა, რომ „ოცნების“ უმრავლესობა მალე დაიშლება. ბესელიამ ეს ყველაფერი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის საკითხს დაუკავშირა, თუმცა ბევრს ამის არ სჯერა. რას იტყვით თქვენ? რა პროცესები მიმდინარეობს?***

— „ქართული ოცნება“ უნდა დაიშალოს! ეს სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის აუცილებელი პროცესია. ჩვენ დავინახეთ, რომ გასული ექვსი წლის განმავლობაში „ოცნებამ“ ქვეყნისთვის ცუდის მეტი ვერაფერი გააკეთა. ის მოტივი, რომ ვაცადოთ ბიძინა ივანიშვილს, რამდენჯერ? ვაცადეთ ერთხელ, ორჯერ, ხუთჯერ... ბოლოჯერ მას მეორე ტურის წინ აცადა ქართველმა ხალხმა და იმედი ჰქონდა, რომ გარკვეული პროგრესი დაიწყებოდა, მაგრამ პირიქით...

***— უარესი მივიღეთ?***

— დიახ. მეორე ტურის შემდე, მან მიიღო მურუსიძის დანიშვნის გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის არის მნიშვნელოვანი, რომ დაიშალოს საპარლამენტო უმრავლესობა სხვადასხვა შემადგენელ ჯგუფებად და, როგორც კი ამ ქვეყანაში არ იქნება ერთმმართველობა, მე ვფიქრობ, ბევრ საკითხში შესაძლებელი იქნება პოზიტიური ცვლილებების შეტანა. ამიტომ ეს საკითხი, რომ დღეს ბესელიამაც და დანარჩენებმაც, რომლებიც პროტესტს აცხადებენ და სურთ, დატოვონ „ქართული ოცნება“, პირველ რიგში, ეს არის ქართული სახელმწიფოს ინტერესებში. ჩემი აზრით, აქ პარტიული ინტერესები მეორეხარისხოვანი უნდა გახდეს.

***— რამდენად იყოს ეს გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე? უფრო პირადულს ხომ არ ჰგავს?***

— რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ამ ყველაფერს წინ უძღოდა შიდაპარტიული და პერსონალური დაპირისპირება. ამას ჩვენ ვუყურებდით, ეს მთლად საიდუმლოც არ იყო. მე ვამბობ იმას, რომ სახელმწიფოებრივ ინტერესებშია „ოცნების“ დაშლა, იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ და, პრინციპში, ჩვენ გვახსოვს, ყველა წინა მმართველი პარტია, რომლებსაც ჰქონდათ კონსტიტუციური უმრავლესობა, იყო საფრთხე ქართული სახელმწიფოსთვის.

***— ასე საშიშია დღეს „ქართული ოცნება“?***

— სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, „ქართული ოცნება“ დღეს არის ქართული სახელმწიფოსთვის უფრო დიდი საფრთხე, ვიდრე რუსული ოკუპაცია. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების“, როგორც საპარლამენტო უმრავლესობისა და როგორც კონსტიტუციური უმრავლესობის დაშლა არის ქართული სახელმწიფოს ამოცანა და ამაში ვინ ანგარებითი მოტივით მიიღებს მონაწილეობას და ვინ – იდეალისტურით, ეს ცალკე საკითხია. მივესალმები და მოვუწოდებ ყველას, დატოვონ „ქართული ოცნება“! ეს საქართველოს პარლამენტს დაუბრუნებს თავის ფუნქციას. დღეს საქართველოს პარლამენტი რეალურად არის ნოტარიალური კანტორა და არა საკანონმდებლო ორგანო!

***— ანუ დაიწყო დაშლის პროცესი?***

— დღეს ამაზე სერიოზული მოთხოვნაა. ამას ითხოვს ქართველი საზოგადოება, ითხოვს მესამე ძალას, ხალხი ითხოვს პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, ითხოვს იმას, რომ პარლამენტში გადაწყვეტილებები მიიღებოდეს დისკუსიის, განხილვის შედეგად და არა ისე, როგორც მიიღება, დღეს სუსი გააგზავნის პარლამენტში რაღაცას და პარლამენტი ბეჭედს ურტყამს.

***— საზოგადოება ითხოვს პოლიტიკურ მრავალფეროვნებასო. ის გუნდი, რომელიც, შესაძლოა, უმრავლესობას გამოეყოს, შეძლებს ამ დაკვეთის შესრულებას?***

— შეძლებს თუ არა ამას „ქართული ოცნების“ შიგნით რაიმე გუნდი, რომ ეს დაკვეთა შეასრულოს, რა მოთხოვნაც აქვს საზოგადოებას, ამის გარანტიას მე ვერ მოგცემთ, იმიტომ, რომ, მიუხედავად იმისა, ეკა ჩემი მეგობარია, არც ეკაზე არა მაქვს რაღაცა გადაჭარბებული მოლოდინი და მით უფრო არც დანარჩენებზე, რომლებსაც 6 წელი პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. თუმცა, თუ იზამენ, ძალიან კარგია, იმიტომ, რომ დღეს ორი ალტერნატივა გვაქვს, ან თვითონ „ქართული ოცნება“ გააჩენს პარლამენტში პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, ან ვადამდელი არჩევნები დროის მოთხოვნა და აუცილებლობა გახდება.

***— ანუ გარდაუვალია?***

— რა თქმა უნდა, იმიტომ რომ იმ პარლამენტში, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ, კობახიძე, თალაკვაძე, მდინარაძე, კილაძე და ეს სახეები ქვეყანას მიაქანებს პირდაპირ რუსთაველის გამზირზე სამოქალაქო დაპირისპირებისაკენ, იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ მოსახლეობის 1%-ის მხარდაჭერა მაქსიმუმ, დღესდღეობით ფლობენ ძალაუფლების 100%-ს და ეს ტირანია და უზურპაციაა.



**კობახიძე, თალაკვაძე, მდინარაძე, კილაძე და ეს სახეები ქვეყანას მიაქანებენ პირდაპირ რუსთაველის გამზირზე, სამოქალაქო დაპირისპირებისაკენ. ადამიანები, რომლებსაც აქვთ მოსახლეობის 1%-ის მხარდაჭერა მაქსიმუმ, დღესდღეობით ფლობენ ძალაუფლების 100%-ს და ეს ტირანია და უზურპაციაა.**

***— ანუ ამ ძველმა სახეებმა, ბესელიამ და მისმა თანამოაზრეებმა, იგრძნეს ეს საფრთხე და თავის გადარჩენას ცდილობენ? ქვეყნის ბედზე რომ მოფიქრალი იქ არავინაა, მგონი, ამაზე თანხმდება საზოგადოება.***

— დიახ, მე ვფიქრობ, რომ თქვენი ეს ფორმულირება არის კიდევ უფრო ზუსტი. თუმცა ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მათი კერძო და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეს. მათი კერძო ინტერესებიც ერთგვარად სამართლიანია.

***— რა თვალსაზრისით?***

— ესეც არ არის რა, კერძო ინტერესს რომ ვამბობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ის მაინცდამაინც კორუფციულია. ეკა ბესელია, ეკა ბესელიაო, კი ბატონო, ბევრს არ მოსწონს და, შესაძლოა, მეც არ მომწონს მისი ბევრი ქმედება, მაგრამ ეს არის ადამიანი, რომელსაც შვილი დაუჭირეს. როგორი იყო, რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში შვილს რომ დაგიჭერენ! მან ეს ყველაფერი გადაიტანა და დღეს თავზე დაასვეს ზარდიაშვილი და კილაძე! ზარდიაშვილი, რომელმაც დაიჭირა მისი შვილი! სწორედ იმ რეჟიმის წარმომადგენლები დაასვეს თავზე. ასევე მამუკა ბახტაძე, რომელიც ნაციონალებს აფინანსებდა, ირაკლი კობახიძე და ასე შემდეგ.

***— ანუ აქ უფრო პირადი ემოციებია წინა პლანზე?***

— ადამიანურად ეკას ემოციები ჩემთვის არ არის გაუგებარი. შენ რომ რაღაცისთვის იბრძვი, დაგიჭირენ, გცემენ... იქ ბიძინა გეგიძე მუხლებში გადაამტვრიეს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ხალხმა, რომელიც რეჟიმს ებრძოდა, გაიმარჯვა და ეგონათ, რომ გამარჯვებულები არიან, ამ დროს ეს ხალხი, რომელიც ზუსტად მათ სცემდა, აწამებდა და მუხლებში ამტვრევდა, თავზე დაასვა ივანიშვილმა. ამიტომ მათი ადამიანური ემოციები, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი ინტერესებისგან ძალიან დაშორებულია, მაგრამ ადამიანურად ჩემთვის გასაგებია. იმედი მაქვს, ეს ხალხი ივანიშვილს თავს აღარ წაუხრის.

***— ფიქრობთ, რომ გაიზრდება მათი რაოდენობა, ვინც თანამდებობებსა და შემდეგ პარტიასაც დატოვებს?***

— რა თქმა უნდა. ეს არის უკვე ფაზა, ეს არის ისტორიული პერიოდი. ჩვენ ნანახი გვაქვს, როგორი იყო შევარდნაძის დაისი, ასევე ვიცით, როგორი იყო სააკაშვილის დაისი და ივანიშვილზეც არა ერთხელ გვითქვამს, რომ თვითონ ივანიშვილმაც ან დროს უნდა აუწყოს ფეხი, ან უნდა წავიდეს. ჯერჯერობით ივანიშვილი იქცევა ისე, როგორც კოჭლი იხვი. მან დროს ვერ აუწყო ფეხი და ყველა ელოდება, რომ წავიდეს.

***— ივანიშვილია ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიმღები?***

— სხვათა შორის, გუშინ კობახიძემ ჩაუშვა და თქვა, რომ გადაწყვეტილება მურუსიძის დანიშვნის შესახებ მიიღო პირადად ივანიშვილმა, ანუ თუ ვინმეს ჰგონია, რომ ვილაცებმა მიიღეს ბიძინას ზურგს უკან მურუსიძისა და ჩინჩალაძის დანიშვნის გადაწყვეტილება და ბატონმა ბიძინამ არაფერი იცოდა, პირიქით იყო ეს ყველაფერი! პირადად ბიძინა ივანიშვილმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მერე შეკრიბა უმრავლესობის სხდომა და დაავალა მათ, რომ ხმა უნდა მისცენ მურუსიძესა და ჩინჩალაძეს. აი, ეს იყო სინამდვილე! თუ დღეს „ქართულ ოცნებას“ სურს, შეინარჩუნოს აბსოლუტური უმრავლესობა, ეს შეუძლებელი ამოცანაა და ამას მოჰყვება ის, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტიდან გადაინაცვლებს გლდანის ციხეში, ხოლო თუ „ქართულ ოცნებას“ სურს, დარჩეს ერთ-ერთ პოლიტიკურ მოთამაშედ ქართულ პოლიტიკაში და ძალაუფლება გადანაწილდეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალაზე, ეს მიღწევადი და აბსოლუტურად ლეგიტიმური ამოცანაა. ამაზე თავად უნდა ჩამოყალიბდნენ. სხვა შემთხვევაში მიიღებენ რევოლუციას. რევოლუციებს რაც მოაქვს, ეს არ გვესწავლება. 2019 წელი უნდა გახდეს დიალოგის წელი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. თუ არ გახდება, მაშინ ეს გახდება ძალიან ტრაგიკული წელი ხელისუფლებისათვის.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „მურუსიძემ პირდაპირ აღიარა, რომ სასამართლოში რაღაც დაჯგუფების ხელმძღვანელია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დებულება ძალიან დაბალ ნიშნულზე დავიდა. დამოუკიდებლობის ხარისხი კანონმდებლობით გაიზარდა, ხოლო ანგარიშვალდებულების ხარისხი პრაქტიკულად შემცირდა.

დამოუკიდებლობის ხარისხია მაგალითად ის, რომ უზენაესი სასამართლოს უვადო კანდიდატები პარლამენტში წარადგინოს, უვადოდ დანიშვნა შემოვიდა და სხვა. მაგრამ მეორე საკითხია, როგორ გამოიყენა ეს იმ ჯგუფმა, რომელიც სასამართლო სისტემაშია. ფაქტია, რომ ცუდად გამოიყენა და რატომაც გამოიყენა ცუდად, მაგაზეც მაქვს ჩემი პასუხი. წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა და მოსამართლეები იყვნენ იმ მდგომარეობაში, რომ მათ მიუთითებდნენ, რა გადაწყვეტილებაც უნდა გამოეტანათ. არა ყველას, მაგრამ ზოგადად ასეთი ფონი იყო. არა ყველას, მაგრამ რაღაცა ჯგუფს რაღაცას მიუთითებდნენ და დავალებებს აძლევდნენ და თვითონ ესენი იყვნენ შემსრულებლები. ხოლო თავად არავითარ ინიციატივას არ გამოხატავდნენ. გახსენდებათ შემთხვევა, რომ გამოსულიყვნენ 5-6 წლის წინ და რამე ეთქვათ?! რა თქმა უნდა, არა!

ამ შემთხვევაში კი, როცა რეფორმები განხორციელდა, შეიცვალა ვითარება, მათ მიეცათ შესაძლებლობა, რომ არენაზე გამოსულიყვნენ. მურუსიძემ გასაუბრებაზე თქვა კიდეც, რომ მე ვარ სასამართლოს ლიდერიო. სხვა მოცემულობაში ის ამას არ იტყოდა. პირდაპირ აღიარა, რომ იგი არის ლიდერი და რაღაცა დაჯგუფების ხელმძღვანელი.

ოფიციალურად ის არ არის ლიდერი. არც საბჭოს მდივანია და არც თავმჯდომარე. ასოციაციის თავმჯდომარე ვარო, შემდეგ დააყოლა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ეს ასოციაცია არაფერს არ აკეთებს. მისი გამოსვლები, როგორც ასოციაციის თავმჯდომარის გამოსვლები, არ მომისმენია.

ამიტომ, ჯერ უნდა გავიგოთ, რატომ შეიქმნა ასეთი რთული ვითარება. იმიტომ, რომ სასამართლოს მიეცა ძალიან ბევრი შესაძლებლობები, რაც ნორმალურ ქვეყანაში და ნორმალურ ვითარებაში კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ სასამართლო სისტემაში ეს ძალიან დამღუპველი აღმოჩნდა. ამიტომ, დავინახეთ, რომ სასამართლო ადრე თუ დავალებების იძლეოდა, ახლა აქეთ იძლევა მითითებებს და ბრძოლას უცხადებს საზოგადოებას და არა მარტო პარლამენტს. მათ დამოუკიდებლობაში თუ ვინმე ჩაერია, თქვან და ყველანი გვერდში დავუდგებით, მაგრამ სასამართლომ ბრძოლა გამოუცხადა პარლამენტს იმისთვის, რომ ძალაუფლებას მიადგა საფრთხე. განა მათ ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას, რაც სასამართლო სისტემის ღირებულებაა და მისი არსი ამაზე უნდა იდგეს. მათ იგრძნეს, რომ ძალაუფლება, რომელიც მათ მოიპოვეს ბოლო 5 წლის განმავლობაში, მას ადგება საფრთხე. შესაძლოა, ეს ისეთი ვითარება აღარ იყოს, როგორც აქამდე იყო. ამიტომ, ეს იყო გაბრძოლება და საპასუხო გზავნილი საზოგადოებისადმიც და ასევე პარლამენტისადმიც.

***— გამოსავალს თუ ხედავთ და რაში მდგომარეობს?***

გამოსავალი არსებობს და ეს არის საკანონმდებლო ცვლილებებში, რომელიც ამ ჯგუფს მაქსიმალურად შეუზღუდავს იმ ძალაუფლებას, რომელიც აქვს გაუმართლებლად და დაუმსახურებლად. არ არის საჭირო, რომ მათ ამხელა ძალაუფლება ჰქონდეთ. მაგრამ, ეს უნდა გაკეთდეს ისე, რომ არ დაზიანდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა და ის მონაპოვარი, რასაც ინსტიტუციური დამოუკიდებლობა ჰქვია. მაგრამ, ინსტიტუციური დამოუკიდებლობა არ უნდა გადაიზარდოს ისეთ ძალაუფლებაში, რომელიც საზოგადოებას და ქვეყანას ზიანს მოუტანს.

***— ისაუბრეთ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია გამოიხატოს ეს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებაში, რასაც ვერ ვხედავთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ რაღაც სხვა მექანიზმია მოსაფიქრებელი, რომ დაბალანსება მოხდეს და კონტროლის მექანიზმი იყოს?***



— მე მგონია, რომ ყველაზე სწორი გამოსავალი საკანონმდებლო ცვლილებები იქნებოდა, რომელიც ამას შეძლებდა. შეიძლება სხვა გადაწყვეტილებებიც იყოს მიღებული. არ ვიცი რა ფორმით და როგორ, მაგრამ ეს სადისკუსიო მოსაზრებაა. მეც შემიძლია ჩემი მოსაზრებები არაერთ ადამიანს გავუზიარო. ამ ეტაპზე მგონია, რომ საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო.

***— რა უფლებები უნდა შეეზღუდოს?***

— თუნდაც ის, რომ შეიცვალოს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების წესი, ესეც ბევრ რამეს შეცვლიდა. მე კითხვებს ვუსვამდი ლევან მურუსიძეს, მაგრამ კითხვების დასმა არ აისახა გადაწყვეტილებაში. იმიტომ, რომ გადაწყვეტილება მიიღო იმ კლანმა, რომელიც საბჭოშია. თუ იქნება საჭირო კონსენსუსი საბჭოში, რომ უვადოდ დასანიშნი მოსამართლე კონსენსუსის საფუძველზე დაინიშნოს, ეს გამოსავალი იქნებოდა. მაშინ მურუსიძე ვერ დაინიშნებოდა. ანუ გადაწყვეტილების მიღების წესის ცვლილებაც კი არსებითად შეცვლიდა ბევრ რამეს.

***— შემადგენლობაც გადასახედი ხომ არ არის?***

— იდეაში მოდელი ძალიან კარგია, მაგრამ ის ხალხი, რომელიც საბჭოშია წარმოდგენილი, სამარცხვინოდ მოიქცნენ. ის ხალხი, ვინც დაუჭირეს მხარი. არ ვიცი, რას დაპირდნენ ან რის გამო დაუჭირეს მხარი, მაგრამ ფაქტია, სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარდგენილ წევრებს მეტი გონიერება უნდა ეყოთ და ისე მოიქცნენ, როგორც ეს საზოგადოებასა და ქვეყანას სჭირდება და არა ისე, როგორც პირადად მათ აწყობთ. გული დამწყდა მათი გადაწყვეტილების გამო. ბოლო გადაწყვეტილება რაც მიიღეს, ეს იყო ჩემთვის ბოლო წერტილი. უპრინციპო ადამიანები არიან, როდესაც ასე იქცევიან.

***— ანუ გამოდის, რომ მთავარი საქმე მაინც პარლამენტს აქვს, რომ საკანონმდებლო ცვლილება მიიღოს?***

— უზენაესთან მიმართებაში პარლამენტს აქვს, მაგრამ მურუსიძე დაინიშნა სააპელაციო სასამართლოში და აქ პარლამენტი არაფერ შუაშია. შემდგომ ქმედებებს რაც შეეხება, იქ, რა თქმა უნდა, ბევრი რამე პარლამენტზეა. საბჭო თავისით არაფერს გააკეთებს. სანამ უზენაესის კანდიდატებს წარადგენდნენ, შევთავაზე, რომ რეგლამენტში ცვლილებები განგვეხორციელებინა და კონკურსი გამოგვეცხადებინა, რაზეც უარი თქვეს. ამიტომ, სჯობს, დაველოდოთ პარლამენტის გადაწყვეტილებას.

***— ახლა რა ვითარებაც არის, ამაში ხედავთ პარლამენტისა და „ოცნების“ ლიდერების პასუხისმგებლობის თემასაც?***

— მურუსიძის გამოსვლას თუ დააკვირდით, ისეთი პათოსი ჰქონდა, რომ უნდოდა საზოგადოებასა და მსმენელებში თანაგრძნობა გამოეწვია. გამოეჩინა თავი მსხვერპლად და ხაზს უსვამდა, რომ მათ წლების წინ ძალიან ბევრი გადაიტანეს. ამ პათოსით ხალხი მოატყუა და დააჯერა, რომ ის მსხვერპლია. ის, რომ ხალხმა არ იცოდა, რა ხდებოდა სისტემაში, ეს მან ცუდად გამოიყენა. ამიტომ, პარლამენტმა უნდა მიიღოს შესაბამისი ცვლილებები, რომ აღარ მოტყუვდეს. თან ამბობენ, რომ დავალებებს არ ასრულებდნენ, მაშინ რატომ იყვნენ მსხვერპლნი?! საბოლოო ჟამში რა ხდებოდა, ეს ჩვენ ზუსტად ვერ გავიგეთ.

# ლევან ჩაჩუა: „მართლმსაჯულების დაჭაობებული სისტემა უფრო მყარდება და მყაყდება“

## „პარლამენტის ულტრალიბერალები აუცილებლად მიიღებენ ქუჩის საპროტესტო აქციებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა“ მიმდინარე პროცესებზე ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას**

***– მძიმე წელი ქვეყანაში სრულდება მოსამართლეების სკანდალით და „ქართული ოცნების“ რღვევით.***

– სანამ ამაზე ვისაუბრებდე, მინდა თქვენი პოპულარული გაზეთის საშუალებით მომავალი შობა და ახალი წელი მივულოცო ხალხს.

სააკაშვილის დროინდელი დამნაშავე სასამართლოში ისეთი რამე ხდება, რომ ამის მოთმენა წარმოუდგენელია. ისე, მოსამართლეებისათვის ხელის დაფარება და მათი დაწინაურება „ოცნების“ მხრიდან აქამდეც ხდებოდა. მმართველ პარტიაშიც ქაოსია. „ქართულ ოცნებაში“ ყოველთვის იყო უთანხმოება კობახიძის გარშემო გაერთიანებულ რადიკალ ლიბერალებსა და იმათ შორის, ვინც შეიძლება მეტ-ნაკლებად ჩაითვალოს კონსერვატორად. ამ არალიბერალურ დეპუტაციას მყარი შეხედულებები არ გააჩნია. ეს ვითომ კონსერვატორები, შესანიშნავად ეწერებოდნენ შექმნილ კონიუნქტურაში.

***– ხანდახან მაინც ხომ იღებდა ადრეც ხმას „ოცნების“ ძველი გვარდია?***

– ძალიან იშვიათად, ისიც იმისთვის, რომ საკენკი გადმოეგდოთ ჩვენთვის – იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ვებრძოდით იმ რეჟიმს და რომლებიც ამის გამო დაგვიჭირეს.

ახლა ისეთი საშინელი რამე მოხდა, რომ „ქართული ოცნების“ არალიბერალებიც აღშფოთდნენ და დაპირისპირება შიგნიდან გარეთ გამოვიდა. ლევან მურუსიძე უპრობლემოდ დამტკიცდა უვადო მოსამართლედ, იუსტიციის საბჭომ კი პროცედურის დარღვევით ისეთი მოსამართლეები წარმოუდგინა პარლამენტს უვადოდ გასამწესებლად, რომლებიც გასვრილი არიან გირგვლიანისა და მოლაშვილის საქმეებში.

ამის მოთმენა არც დეპუტატთა ნაწილმა ისურვა და არც „ქართული ოცნების“ იმ მხარდამჭერებმა, რომლებიც მეორე ტურის წინ ძალიან აქტიურობდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ, საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაეჭირათ „ოცნების“ მიერ მოწონებული სალომე ზურაბიშვილისათვის. დღეს ეს მხარდამჭერები გრძნობენ პასუხისმგებლობას იმ უმსგავსობაზე, რაც ქვეყანაში ხდება. ბიძინა ივანიშვილი სულ სხვა რამეს ამბობდა.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– არჩევნების მეორე ტურის წინ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებს დაშვებულ შეცდომებს და გამოასწორებს იმას, რის გამოც საზოგადოება ხელისუფლებას გაებუტა. ის ცვლილებებს და სამართლიანობის დამყარებას დაგვპირდა.

ჩაიარა თუ არა არჩევნებმა, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მორატორიუმი უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების თაობაზე, საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი მაროკოში ხელი მოაწერა პაქტს მიგრანტების შესახებ. ამ დოკუმენტით საქართველომ ვალდებულება აიღო, მიიღოს უცხოელი მიგრანტები და დაასაქმოს ისინი. ამავე დროს, გვეუბნებიან, რომ ჩვენი მოქალაქეები ზოგიერთ სახელმწიფოში ლეგალურად იმუშავებენ. იმის მაგივრად, რომ ადამიანური პირობები შეუქმნან საკუთარ მოსახლეობას, ხელს უწყობენ მის გადინებას.

„ქართული ოცნების“ ულტრალიბერალური გუნდი ამას იწონებს. ივანიშვილის ხელშეწყობით ლიბერალი ახალგაზრდები თავიდანვე დასვეს საკვანძო თანამდებობებზე. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიც მათია, უმრავლესობის ლიდერის თანამდებობაც და ა.შ. ბოლო პერიოდში ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ და მეტი ძალაუფლება მოინდომეს. მათ დაატოვებინეს უმრავლესობა დავით ჭიჭინაძეს. ახლა გადადგა ეკა ბესელია. სააკაშვილის რეჟიმთან მებრძოლი დეპუტატები, მაგალითად, ისეთები, როგორიც ლევან გოგიჩაიშვილია, თავიდანვე უკანა პლანზე გადაიყვანეს.

გამაოგნებელი ამბები ხდება სასამართლო სისტემაში. ნინო გვენეტაძემ ამას ვერ გაუძლო და წავიდა. ჯანმრთელობის პრობლემის მომიზეზება ტყუილია. ნინო გვენეტაძე ჩემი მეზობელია და ვიცი, რომ ის ჯანმრთელობას არ უჩივის. ბოლოდროინდელი მოქმედებებით მართლმსაჯულების დაჭაობებული სისტემა უფრო მყარდება და მყაყდება.

***– დავით ჭიჭინაძე ვარაუდობს, რომ პარლამენტს, რომელიც იანვრიდან თბილისში სრულად ბრუნდება, აქციები არ ასცდება.***



– პარლამენტის ულტრალიბერალები აუცილებლად მიიღებენ ქუჩის საპროტესტო აქციებს. „ოცნების“ ლიბერალები ადრე სააკაშვილთან იყვნენ, მერე კოაბიტაციაში ჩაებნენ. ახლა ეს ანტიეროვნული ფლანგი გავლენების გაძლიერებისთვის იბრძვის, სასამართლოშიც თავისი მტკიცე საცეცები სჭირდება.

ქვეყანა ულტრალიბერალური პოლიტელიტის ანაბარაა დატოვებული. ამ ელიტას ქვეყანა არ აღელვებს. ხალხი ამის წინააღმდეგ აუცილებლად გამოვა. ამას წინ აღუდგებიან „ქართული ოცნების“ წევრებიც კი. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ნაც-ქოცურ მოღალატურ პოლიტელიტას არ უნდა დავუტოვოთ!

# ვახტანგ მაისაია: „ეროვნული უსაფრთხოების საბჭო პრემიერ-მინისტრს უნდა დაექვემდებაროს“

## ტრამპის გადაწყვეტილებამ ამერიკაში კიდევ ერთი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია

გულიკო ბალაძე

რატომ დაიწყო თანამშრომლობა რუსეთმა მსოფლიოში აღიარებულ ტერორისტულ ორგანიზაციასთან? როგორია საქართველოს უსაფრთხოების სისტემა? ვის დაექვემდებარება ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც მომავალში შეიქმნება? როგორი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია წარუდგინა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა ექსპერტებს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხზე? – ამ საკითხებზე ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო ვახტანგ, უშიშროების საბჭო გაუქმებულია, საგანგებო სიტუაციების სამსახური შს სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის და მას გიორგი გახარია უხელმძღვანელებს. ეჭვი შეჰქონდათ უშიშროების საბჭოს გაუქმების სისწორეში. როგორ ფიქრობთ, შეიძლება უშიშროების საბჭო ახლა პრემიერთან შეიქმნას?***

– არა. უშიშროების საბჭო გაუქმებულია. პრემიერთან იქმნება ეროვნული უსაფრთხოების საბჭო და მას შს მინისტრი უხელმძღვანელებს. შს მინისტრი შეითავსებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქციას.

***– ე.ი. ქვეყნის პირველი პირი პრემიერ-მინისტრია, გვყავს ასევე არჩეული პრეზიდენტი, მაგრამ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კი ვიცე-პრემიერი და შს მინისტრი უხელმძღვანელებს. ამით რა გამოდის?***

– როგორც ჩანს, დღევანდელ მთავრობას ასე მიაჩნია, აღნიშნული სტრუქტურა ასეთნაირად უნდა იყოს წარმოჩენილი. მე შემიძლია ვარაუდით ვისაუბრო.

***– ვარაუდი რა არის?***

– ვარაუდი ისაა, რომ მთავრობას ასე მიაჩნია. საგანგებო სიტუაციების სამსახური შს სამინისტროს ფუნქციონალური სტრუქტურაა. როგორც ჩანს, ცენტრულ და არაცენტრულ საფრთხეებზე რეაგირება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ მოხდება. შს სამინისტროს სტრუქტურებში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების სამმართველო, რომელიც მუშაობს ტექნოგენური კატასტროფების და სხვადასხვა ავარიული სიტუაციების წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელობა სწორედ ამ სამინისტროს მისცემს საშუალებას, იყოს ერთ-ერთი მთავარი დამგეგმავი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ყველა ვარიანტში პრემიერ-მინისტრს უნდა დაექვემდებაროს, ანუ ამ სტრუქტურის მთავარი ხელმძღვანელი ქვეყნის პრემიერი იქნება. ახალი კონსტიტუციით პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის რიგი უფლებამოსილებები.

***– ქვეყანაში ასევე შექმნილია ერთობლივი ცენტრი ნატოსთან თუ ამერიკასთან ერთად.***




– ის არის წვრთნისა და აღჭურვის ცენტრი, რომელსაც სხვა ფუნქცია გააჩნია და არ არის დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებასთან. წვრთნისა და აღჭურვის ცენტრი თავდაცვის ეგიდით მოქმედებს და ნატო-საქართველოს ურთიერთობებიდან გამომდინარეა.

***– ქვეყნისა და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, ხელისუფლება როგორ მოქმედებს, როდესაც საქმე ტერორიზმის საფრთხეებთან გვაქვს.***

– ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე დღის წინ მოხდა ძალიან კარგი ფაქტი. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა წარმოადგინა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით. ეს არის სამწლიანი სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც შეიმუშავა ანტიტერორისტულმა ცენტრმა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დაქვემდებარებაშია.

***– ანუ შემუშავდა ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია.***

– დიახ, ფაქტობრივად, წარმოადგინეს ძალიან კარგი დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში მოითხოვდა. ანტიტერორისტული ცენტრი ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი და საკმაოდ ეფექტური სტრუქტურაა. სწორედ ანტიტერორისტული ცენტრის ძალისხმევით ლიკვიდირებულია საშიშ ტერორისტთა ჯგუფი საქართველოს ტერიტორიაზე.

***– გაბრიელ ბერი სალოსის ქუჩაზე ჩატარებულ სპეცოპერაციას გულისხმობთ?***

– დიახ. წარმოდგენილი დოკუმენტი ეფუძნება ბრიტანულ და ჰოლანდიურ გამოცდილებას. ძალიან საინტერესო და სწორი მიდგომაა.

***– წარმოდგენილი სტრატეგია რას გულისხმობს?***

– მე არ ვისაუბრებ იმაზე, ამ სტრატეგიაში რა წერია. სტრატეგიას, ალბათ, საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს, რაც იქნება სტრუქტურის სამოქმედო გეგმა ანტიტერორისტული მიმართულებით. ეს კიდევ უფრო გაზრდის მუშაობის ეფექტურობას ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით. თუ ჩათვლიან, რომ დოკუმენტი უნდა იყოს ღია, გამოქვეყნდება, რაც მთავრობის პრეროგატივაა.

***– ანუ აღნიშნული დოკუმენტი საიდუმლოა.***

– ჯერ არ ვიცით. ჯერ პროექტია წარმოდგენილი. მათ პროექტი ექსპერტებს წარუდგინეს (მისი შინაარსის გამხელა მართებულად არ მიმაჩნია). მათ შორის, მეც ვიყავი მიწვეული. აღნიშნული დოკუმენტი დიდი ხნის წინ უნდა მიგვეღო. დოკუმენტის შექმნაზე მუშაობდა უშიშროების სამსახური.

***– რამდენ წელზეა გათვლილი ტერორიზმთან ბრძოლის წარმოდგენილი სტრატეგია?***

– წარმოდგენილი სტრატეგია გათვლილია 3 წელზე. ამ მიმართულებით საქართველოს სერიოზული განაცხადი აქვს.

***– სერიოზული საფრთხეებიც არსებობს.***

– საფრთხეები, ბუნებრივია, არსებობს, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ დოკუმენტში ძალიან საინტერესო კუთხით, რაც იმას ნიშნავს, მთავრობას გაცნობიერებული აქვს, ქვეყანაში არსებული საფრთხეების რეალობა. სტრატეგიის დოკუმენტი გათვლილია 3-წლიან, მოკლევადიან პერიოდზე. 2021 წლამდე პერიოდზეა საუბარი. შესაბამისი სამოქმედო გეგმებიც არსებობს, როგორ უნდა მოხდეს პრევენცია.

***– ტერორიზმის კუთხით ჩვენ ირგვლივ და მსოფლიოში რთული ვითარებაა. მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჯარი გაჰყავს ავღანეთიდან და სირიიდან, ტერორისტული ძალები გააქტიურდნენ. რას უნდა ველოდოთ მომავალში?***

– ტრამპის გადაწყვეტილებამ ამერიკაში კიდევ ერთი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. თვითონ ამერიკაში გადადგა თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მეტისი. შეიძლება გადადგეს ქვეყნის ფინანსთა მინისტრი, თუ არ ვცდები, ასევე გადადგა, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ისლამურ სახალიფოსთან ბრძოლის საკითხებში. სპეციალური თანამდებობაა ასეთი. ამ სამი ადამიანის გადადგომა არ ქმნის პოლიტიკური სტაბილურობის პირობებს ამერიკაში.

***– ჩვენი მეზობელი თურქეთი უფრო ახლოს არის და ღიადაა ჩართული პროცესში. იქ ქურთების პრობლემაც დგას.***

– თურქეთი კი არის ჩართული ამ პროცესში, მაგრამ თურქეთი რეგიონული ჰეგემონია. თურქეთის ჩართულობა ვერ შეედრება ამერიკის ჩართულობას. ამერიკისა და თურქეთის სამხედრო პოტენციალს მე ვერც შევადარებდი ერთმანეთს. თურქეთი წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ, ნატოს წევრ ქვეყანას ევროპაში, მაგრამ თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა აჩვენეს, რომ მათ არ აქვთ საკმარისი სამხედრო პოტენციალი კონტრტერორისტული ოპერაციების ჩასატარებლად. ეს ფაქტორი კიდევ უფრო ზრდის მოწყვლადობას.

***– როგორ?***

– საერთო ტერორისტული ბუდეები კიდევ უფრო გაივსება და სირიასა და ერაყში ახალი ტიპის საშიშ ტალღას მივიღებთ. სირიიდან და ავღანეთიდან ჯარის გაყვანით, ამერიკის ჩარევა და გავლენა ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთში სუსტდება. ის 7 ათასი კაცი, რომელიც რჩება ავღანეთში, ვერ შეაკავებს თალიბანს. თალიბანი და ტერორისტული ძალები ისე გააქტიურდნენ, რომ მთელი ტერიტორიის 80%-ს აკონტროლებენ. ახლახან ქაბულში 5 თავდასხმა მოხდა. რამდენიმე პროვინციაში ხელში ჩაიგდეს ტერორისტული მართვის სადავეები. ამიტომ სიტუაცია ურთულესია. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთმა დაიწყო თანამშრომლობა თალიბანთან.

***– რატომ თანამშრომლობს რუსეთი ტერორისტებთან?***

– მათ თავისი მიზნები აქვთ. რუსეთმა თანამშრომლობა დაიწყო საერთაშორისოდ აღიარებულ თალიბანის ტერორისტულ გაერთიანებასთან. წარმოიდგინეთ, თალიბების წარმომადგენელი მოსკოვში იჯდა მოლაპარაკებებზე რუსეთის ხელმძღვანელობასთან.

2018, 29 – 30 დეკემბერი, №309

# 24 ცვლილება და რეგულაცია, რომლებიც 2018 წელს საქართველოში ამოქმედდა

2018 წლის განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა ეკონომიკური ცვლილება ამოქმედდა. „ბიზნესპრესნიუსი" იმ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებისა და რეგულაციის შესახებ წერს, რომლებიც მიმდინარე წელს ამოქმედდა.

## ტაქსების ლიცენზირება

2018 წელს ტაქსების რეფორმის 1-ლი ეტაპი ამოქმედდა. კერძოდ, ოქტომბრიდან ტაქსის სერვისით მომსახურება ლიცენზიის გარეშე აიკრძალა. აღსანიშნავია, რომ ის ტაქსები, რომელთაც შესაბამისი რეგისტრაცია არ ექნებათ გავლილი, 1-ლი ოქტომბრიდან 200 ლარით დაჯარიმდებიან.

## პოლიეთილენის პარკების აკრძალვა

2018 წლის 1-ლი ოქტომბრიდან პოლიეთილენის პარკების წარმოება და რეალიზაცია დასჯადი გახდა. თავდაპირველად აკრძალვა 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკებზე გავრცელდება, უკვე 2019 წლის 1-ლი აპრილიდან კი ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია აიკრძალება. წესის დარღვევა გამოიწვევს მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით. განმეორებით ჩადენილი ქმედება კი მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 1.000 ლარით გამოიწვევს, ამ შემთხვევაშიც შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით.

## სავალდებულო აუდიტი

2018 წლის 1 ოქტომბრამდე კომპანიების ნაწილს სავალდებულო აუდიტის განხორციელება მოუწიათ. 1-ლ ოქტომბრამდე სავალდებულო აუდიტის ჩატარებისა და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების ვალდებულება ჰქონდათ კომპანიებს, რომელთა კომპანიის აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს; შემოსავალი 100 მილიონ ლარს; დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კი საანგარიშგებო პერიოდში 250-ს აღემატება. ასევე იმ კომპანიებს, რომელთა აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონი ლარიდან 50 მილიონ ლარამდე; შემოსავალი 20 მილიონი ლარიდან 100 მილიონ ლარამდე; დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კი 50-დან 250 ადამიანამდე უნდა იყოს. იმ კომპანიებზე, რომელთაც აუდიტი არ ექნებათ ჩატარებული, გარკვეული სანქციებიც ამოქმედდა – პირველ ეტაპზე გაფრთხილება, ხოლო შემდეგ – ჯარიმა.

## კომპანიათა ნაწილს რეესტრში საქმიანობის პროფილის მითითების ვალდებულება გაუჩნდა

2018 წელს კომპანიათა ნაწილს რეესტრში საქმიანობის პროფილის მითითების ვალდებულება გაუჩნდა. საუბარია მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებზე. ის კომპანიები კი, რომელთაც საკუთარი საქმიანობის პროფილი არ ექნებათ მითითებული, 1.000 ლარით დაჯარიმდებიან.

## ავტომობილებზე ქონების გადასახადი ამოქმედდა

2018 წელს ამოქმედდა ავტომობილებზე ქონების გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულებაც 40 ათასი და მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს გაუჩნდათ.

## არაიდენტიფიცირებული პირუტყვის სასაკლაოზე დაკვლა აიკრძალა

2018 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა, სასაკლაოზე მიყვანილი პირუტყვი იდენტიფიცირებული იყოს და საყურე ნიშანი ჰქონდეს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, არაიდენტიფიცირებული პირუტყვი სასაკლაოზე აღარ დაიკვლება.

## 2018 წელს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამოქმედდა

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამოქმედდა. სისტემა 5 ათასი ლარის ფარგლებში, ყველა დეპოზიტის დაზღვევას ითვალისწინებს.

## ძალაში შევიდა კანონი, რომელიც საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირთა შრომის ანაზღაურების საკითხებს ახლებურად აწესრიგებს

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონი 2018 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო მოსამსახურეებზე, სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე, პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე, პროფესიულ საჯარო მოხელეებზე და ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებებით მიღებულ პირებზე. კანონი ადგენს ნახევარ განაკვეთზე, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისას ანაზღაურების პირობებს. ასევე განსაზღვრავს მოხელის სახელფასო დანამატის, საკლასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს გაცემის საფუძვლებს.

## 2018 წლის პირველი იანვრიდან საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ამოქმედდა

1-ლი იანვრიდან საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ამოქმედდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, შეთანხმების ამოქმედებისთანავე პროდუქციის 90%-ზე საიმპორტო ტარიფი აღარ მოქმედებს. ამასთან, შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4-წლიანი გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდგომ იმპორტის ტარიფი დამატებით კიდევ პროდუქციის 4%-ზე გაუქმდება.

## გვარის შეცვლა კანონით გამკაცრდა

2018 წელს პარლამენტმა მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომლითაც გვარის შეცვლის შე-




საძლებლობები იზღუდება და პროცედურები გამკაცრდა. განხორციელებული ცვლილებებით, პირს უფლება ექნება გვარი მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, მოქალაქეს მოუწევს გააკეთოს არჩევანი და მიიღოს: მშობელთა შეერთებული გვარი, პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარი მეოთხე თაობის (ბებიის/პაპის ბებია და პაპა) ჩათვლით, საკუთარი და პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის (ბებიის/პაპის ბებიისა და პაპის ჩათვლით) გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი, ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი ან ისტორიული გვარი. შეზღუდვა იმ შემთხვევებზე არ გავრცელდება, როდესაც პირებს სურთ მეუღლის გვარის მიღება ან საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარის ტარება, რის შესახებაც გადაწყვეტილება მათ ქორწინების რეგისტრაციის მომენტში უნდა მიიღონ.

## თამბაქოს მოწევა შენობა-ნაგებობის უმეტესობაში აიკრძალა

1-ლი მაისიდან ძალაში შევიდა კანონი, რომლის საფუძველზეც შენობა-ნაგებობების უმეტესობაში თამბაქოს მოწევა აიკრძალა. მათ შორის თამბაქოს მოწევა აიკრძალა საზოგადოებრივ ტრანსპორტში (გარდა ტაქსისა და კატერისა); თამბაქოს მოწევა აკრძალული იქნება სტადიონზეც, რომელსაც ჰყავს ადმინისტრაცია. ასევე აიკრძალა თამბაქოს ღერებით გაყიდვა და ეს ქმედება 150 ლარის ოდენობით დასჯადი გახდა.

## საქართველოში სანთებელების კონტროლი ამოქმედდა

2018 წლიდან საქართველოში სანთებელების კონტროლი ამოქმედდა. კერძოდ, დასაშვებია მხოლოდ ისეთი სანთებელას გაყიდვა, რომელიც დაპროექტებული და აწყობილია იმგვარად, რომ ჩვეულებრივი მოხმარების პირობებში შეუძლებელია მისი გამოყენება 51 თვეზე მცირე ასაკის (4.3 წელი) ბავშვის მიერ. სანთებელების კონტროლის შესახებ დადგენილება, რომელიც 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა, მთავრობამ 2016 წელს მიიღო.

## პარლამენტმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ" კანონპროექტი მიიღო

პარლამენტმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ" კანონპროექტი მიიღო. აღნიშნული კანონი მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე გავრცელდება და მისი მიზანი იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრაა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას.

## უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომფლობელებისთვის მესამე პირის დაზღვევა სავალდებულო გახდა

2018 წლის 1-ლი მარტიდან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი საქართველოში შემოსვლისას ვალდებულია, მესამე პირის დაზღვევა შეიძინოს. უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას მისი მფლობელი/მძღოლი ვალდებულია საქართველოში მისი ყოფნის სრული პერიოდით დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე.

## ბაზრობის, სასტუმროს, ავტოგასამართი სადგურის მფლობელებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულება გაუჩნდათ

2018 წლის 1-ლი მარტიდან მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელებს მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულება აქვთ. აღსანიშნავია, რომ მესამე პირად იგულისხმება მათ შორის, ამ ობიექტში კომერციული საქმიანობით დაკავებული მეწარმე სუბიექტიც, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიადგა ზიანი. მასობრივი თავშეყრის ობიექტებია: სავაჭრო ცენტრი; ბაზრობა (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისათვის განკუთვნილი სპეციალური სავაჭრო ზონის ან ავტობაზრობისა); ავტოგასამართი ან/და აირგასამართი სადგური და სასტუმრო (100 და მეტადგილიანი სასტუმრო, დასასვენებელი სახლი). ის ობიექტები კი, რომლებსაც დაზღვევა არ ექნებათ, დაჯარიმდებიან.

## 2018 წლიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი 1%-იანი განაკვეთით იბეგრება

2018 წლის 1-ლი ივლისიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი 1%-იანი განაკვეთით იბეგრება, ნაცვლად არსებული 5%-სა. ამასთან, 500. 000 ლარზე გადაჭარბების მიუხედავად, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი 2 წლით უნარჩუნდება. 1-ლი ივლისიდან, საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 500. 000 ლარამდეა, ნაცვლად იქამდე არსებული 100.000 ლარისა.

## სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის ახალი წესები ამოქმედდა

2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის წესები შეიცვალა. კერძოდ, სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%-დან 50%-მდე შემცირდა. ამასთან, ცვლილებები შედის ვადაგადაცილებული სესხების დაანგარიშების წესშიც. ამ ტიპის სესხებზე ჯარიმა/საურავების ოდენობა შეიცვალა. მსესხებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა თითოეულ დღეზე სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. შესაბამისად, გამოდის, რომ სანქციის ოდენობა წლიურად 98.55%-ზე მეტი არ უნდა იყოს. მაშინ როცა თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამურად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს არ აღემატებოდა.

## სავალუტო ჯიხურებზე რეგულაცია გამკაცრდა

სავალუტო ჯიხურების რეგულირების თვალსაზრისით ეროვნული ბანკის უფლებამოსილება გაიზარდა და სებ-ი ჯიხურების ზედამხედველობას მხოლოდ ფულის გათეთრების კუთხით აღარ განახორციელებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოქალაქეთა ნაწილს სავალუტო ჯიხურებში თანხის გადაცვლის შემდეგ მისი დაბრუნების შესაძლებლობა გაუჩნდათ. კერძოდ, თანხის გადაცვლიდან 30 წუთის შემდეგ მის დაბრუნებას ის მოქალაქეები შეძლებენ, რომელთა მიერ განხორციელებული ტრანზაქციის მოცულობაც 5.000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში მის ეკვივალენტს არ აღემატება.

## მოქალაქეებს ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტების სიჭარბის გადამოწმების საშუალება გაუჩნდათ

პოლიფარმაციის მართვის მიზნით 2018 წლის 16 ივლისიდან ექიმის დანიშნულების გადამოწმების ახალი ინსტრუმენტი ამოქმედდა. 16 ივლისიდან ნებისმიერ პირს, ვისაც ექიმი ხუთ და მეტ მედიკამენტს გამოუწერს, დანიშნულების გადამოწმების შესაძლებლობა აქვს. ცნობისთვის, პოლიფარმაცია არის დიდი რაოდენობით მედიკამენტების საჭიროების გარეშე დანიშვნა და მიღება.

## გადამხდელუნარიანობის ანალიზის გარეშე სესხის გაცემა აიკრძალა

2018 წელს კომერციულ ბანკებს მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა შეეზღუდათ. ასეთი სესხების საერთო თანხა კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს; ხოლო უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

## გაყინული ფრინველის ხორცის შეფუთვის გარეშე გაყიდვა აიკრძალა

ფრინველის გაყინული ხორცის შეფუთვის გარეშე გაყიდვა აიკრძალა. კერძოდ, მთავრობის 14 მაისის დადგენილების თანახმად, საცალო ვაჭრობაში მომხმარებლისათვის მიწოდების მიზნით განთავსებული ფრინველის გაყინული ხორცი შეფუთული უნდა იყოს. ცნობისთვის, აღნიშნული ვალდებულება ფრინველის გაყინული ხორცის მწარმოებლებისთვის 2018 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდება.

## სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული გახდნენ, პაციენტებს ელექტრონული რეცეპტები გამოუწერონ

2018 წლიდან ელექტრონულ რეცეპტებზე გადასვლა სავალდებულო გახდა. შესაბამისად, მიმდინარე წლის იანვრიდან ჯანდაცვის სამინისტრო ხელშეკრულებას მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებებთან აფორმებს, რომლებიც ელექტრონულ სისტემაში არიან ჩართულნი. აღსანიშნავია, რომ ფორმა 3-ის ელექტრონული ვერსია პირველ ეტაპზე – 2018 წლის იანვრიდან, მხოლოდ თბილისის მასშტაბით განხორციელდა, შემდეგ კი მთელ საქართველოს მოიცავს.

## სავალდებულო ტექდათვალიერება

2018 წელს გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება ამოქმედდა. კერძოდ, 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ტექნიკური ინსპექტირება – სამგზავრო და სატვირთო ავტომობილებისთვის, 1-ლი ივლისიდან სახელმწიფო უწყებების და იურიდიული პირების კუთვნილებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის; ხოლო 1-ლი ოქტომბრიდან 3,000 კუბური სმ ან მეტი ძრავის მოცულობის მქონე ავტომობილებისთვის ამოქმედდა. მთლიანად ავტოპარკისთვის კი ტექნიკური ინსპექტირება 2019 წლის 1-ლი იანვრიდან გახდება სავალდებულო.

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელების მიერ საკუთრება აიკრძალა

2018 წლის დეკემბრიდან ქვეყანაში ახალი კონსტიტუცია ამოქმედდა. კონსტიტუციის ახალი რედაქციით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება ან გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი 16 დეკემბრიდან ახალი კონსტიტუციის ამოქმედების პარალელურად, შეიცვალა 94-ე მუხლიც, რომელიც გარდამავალი დებულების სახით ჩამოყალიბდა, სადაც აღნიშნულია, რომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 წლის განმავლობაში, აქციზის გარდა, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება ან გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ბპნ

# გორში 70 წლის ლილი დათუკიშვილი მოკლეს



28 დეკემბერს გორის ცენტრში მკვლელობა მოხდა.

მკვლელობა სტალინის ქუჩაზე მოხდა.

მოკლული 70 წლის ლილი დათუკიშვილია, რომელიც გორის კლინიკაში ექთნად მუშაობდა.

ის საკუთარ საცხოვრებელ სახლში თავის არეში მიყენებული დაზიანებებით ნახეს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

„კურიერმა“ გარდაცვლილის თანამშრომლები ჩაწერა. მათი თქმით, ბინიდან, სადაც ლილი დათუკიშვილის ცხედარი იპოვეს, წაღებულია ფული.

სავარაუდოდ, მკვლელობის მოტივი ქურდობა იყო, თუმცა ვერსიების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში არ საუბრობენ.

ადგილობრივები არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობა იგივე სადარბაზოში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ქურდობას უკავშირდებოდეს.

გარდაცვლილის მეგობრების ინფორმაციით, ის შემოსავლის სახით მიღებულ ფულს ინახავდა. ბინის კარი შვილს, რომელმაც დედის ცხედარი ნახა, ღია დახვდა.

ლილი დათუკიშვილი მარტო ცხოვრობდა.

– ვრეკავდი, არავინ გვიპასუხა. სახლში დავრეკეთ, არავინ გვიპასუხა, არ მოვიდა. კიდევ რომ დავრეკე და არ გვიპასუხა, ვთქვი, რომ რაღაც საეჭვოა, რადგან არ არსებობს, არ მოვიდესმეთქი. მერე დავურეკეთ გოგოს და თქვა, რომ ახლავე ავალ სახლში და ვნახავო. ავიდა და დახვდა ის სურათი, რაც დახვდა.

ყვიროდა ის გოგო, ორჯერ რომ დავაბრახუნეო, მეორე დაბრახუნებაზე კარი თვითონ შეიღოო. კარი იყო ღია. როგორ გაგიმეტეს დედაო, ტიროდა, ფულიც წაღებულიაო, ფულს აქეთ დავამატებდი, ოღონდაც ნუ მოგკლავდნენო, – განუცხადა „კურიერს“ გარდაცვლილის თანამშრომელმა.

# მამუკა ჩოქურის „ტოიოტა პრადო“ კაპიუშონიანმა პირმა დაწვა

## რა დააფიქსირეს სათვალთვალო კამერებმა



პოლიტიკური შურისძიება თუ კრიმინალური გარჩევა – თბილისში სამგორის ყოფილი გამგებლის მანქანა დაწვეს. ცეცხლი მამუკა ჩოქურის ტოიოტა პრადოს 28 დეკემბერს გამთენიისას წაუკიდეს.

ეს ჩოქურის ავტომობილის დაწვის უკვე მეორე შემთხვევაა. პირველად სამგორის ყოფილ გამგებელს ავტომობილი სამი წლის წინ დაუწვეს. მამუკა ჩოქური მომხდარის მიზეზებზე არ საუბრობს, თუმცა ამ ეტაპზე პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავს.

ჩოქური ამბობს, რომ მას უთანხმოება არ აქვს არც ბიზნეს-პარტნიორებთან, შესაბამისად მისთვის უცნობია, რა გახდა ავტომობილის დაწვის მიზეზი.

– ასეთი ფორმით თუნდაც პოლიტიკურად არ ხდება. აქ უფრო პიროვნულია, კონფლიქტი არ მაქვს არავისთან, არავის ხაზები არ გადამიკვეთია, არავინ არ შემიწუხებია და არავის არ შევუწუხებივარ, – ამბობს ჩოქური.

ჩოქურის თქმით, კამერებმა დააფიქსირეს ის ადამიანი, ვინც მის მანქანას ცეცხლი წაუკიდა, თუმცა მისი სახე კამერის ჩანაწერებში არ ჩანს. კადრებში ჩანს, რომ მამაკაცი ჩადის ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოდან, ავტომობილს წვავს და ამის შემდეგ იმავე სადარბაზოში შედის.

ჩოქურის ინფორმაციით, ამ ადამიანს კაპიუშონი აქვს წამოფარებული და, შესაბამისად, მისი სახე ვერ დააფიქსირეს კამერებმა.

რაც შეეხება სამი წლის წინ მომხდარ შემთხვევას, ავტომობილის დაწვის ფაქტზე სამართალდამცველებს არავინ დაუკავებიათ. ჩოქურის თქმით, იმის გამო, რომ მომხდარისთვის მას განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, არ დაწყებულა გამოძიება, შესაბამისად, არ მომხდარა დამნაშავეთა იდენტიფიცირება.

ჩოქური დავით ნარმანიას გუნდის წევრი იყო და თანამდებობიდან კახი კალაძის მერად არჩევის შემდეგ გადადგა. დღეს უკვე ის ბიზნესსაქმიანობას ეწევა. რამდენიმე კომპანიის დამფუძნებელია და ჰყავს უცხოელი პარტნიორებიც.

შსს-მ გამოძიება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების მუხლით დაიწყო.

ჩოქური სამართალდამცველებმა უკვე გამოკითხეს, თუმცა არ არის გამორიცხული, მისი დაბარება საგამოძიებო უწყებაში კიდევ მოხდეს.

# სასამართლომ „ბახალა“ უდანაშაულოდ ცნო



მსახიობი გიორგი გიორგანაშვილი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. „ბახალას“ საქმეზე განაჩენი 28 დეკემბერს გამოცხადდა.

დასკვნით სხდომაზე მოსამართლეს ბრალდებულმა გიორგი გიორგანაშვილმა სიტყვით მიმართა. „ბახალამ“ საკუთარ უდანაშაულობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბრალდება აბსურდულია.

„ბახალამ“ მოსამართლეს უთხრა, დამნაშავე რომ იყოს, პროკურატურის მიერ შეთავაზებულ საპროცესო შეთანხმებას დათანხმდებოდა და ოჯახს, კარიერას არ გაწირავდა.

– ჩემ მიმართ წარმოდგენილი ბრალდება აბსურდულია და დაკავებისას არანაირი კანონსაწინააღმდეგო ნივთიერება არ მქონია. ასე რომ არ იყოს, პროკურორის საპროცესო შეთანხმებას დავთანხმდებოდი. წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ვაღიარო ისეთი ქმედება, რომელიც არ ჩამიდენია.

ასეთი უმორალო და წაშლილი ადამიანი არასდროს შემხვედრია. თითქოს ჯაბა ხულორდავას ნარკოტიკული საშუალება გადავეცი, პოლიციის ვერსიაა. სახრჩობელაზე დამკიდეს, რომ დიდხანს მექანავა, რათა გაფრთხილებად ვქცეულიყავი სხვებისთვის. იგივე ელის ყველას, ვინც სისტემას შეეწინააღმდეგება. მე ასე თუ ისე ვიტან ამ ყველაფერს, მაგრამ ოჯახის წევრებს რომ ვუყურებ, არ მინდა დავუშვა, რომ ჩემ მიმართ კიდევ რამე არაადეკვატური მოხდება, – განაცხადა გიორგანაშვილმა.

მსახიობს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვისთვის ჰქონდა წარდგენილი. ამავე საქმეზე დაკავებული ირაკლი ქორიძე კი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მოსამართლის გადაწყვეტილება „კურიერის“ პირდაპირ ეთერში მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ აქტივისტმა, ბექა წიქარიშვილმა სამართლიანად შეაფასა. ის ასევე „ბახალასთვის“ სხვა საქმეზე მისჯილ 8 წლიან პატიმრობასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ის სასჯელს ჩადებული ნარკოტიკული ნივთიერებების გამო იხდის.

„ბახალა“ პატიმრობაში მაინც რჩება, რადგან მას სხვა საქმეზე 8 წელი მისჯილი აქვს.

***

პროკურორი ირინე ჩოჩია აცხადებს, რომ სახელმწიფო ბრალდებას გიორგი გიორგანაშვილის, ასევე ირაკლი ქორიძის შემთხვევაში საკმარისი მტკიცებულებები ჰქონდა წარდგენილი.

– ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ საკმარისი მტკიცებულებები იყო წარდგენილი, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებდა როგორც ერთი პირის, ასევე მეორე პირის ბრალეულობას. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს. დღევანდელი გადაწყვეტილებით გაცხადდა, რომ სასამართლომ ირაკლი ქორიძესთან მიმართებაში სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, გიორგი გიორგანაშვილთან მიმართებაში არ გაიზიარა.

სასამართლოს თავისი გადაწყვეტილების ვრცელი არგუმენტაცია არ გაუკეთებია. მან დღევანდელ სხდომაზე მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გააჟღერა, თუ რას დაეყრდნო სასამართლო აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანისას, ამას მას შემდეგ გავიგებთ, რაც სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაგვბარდება, – აცხადებს ჩოჩია.

მისივე განმარტებით, დაცვის მხარის განცხადება, რომ პროკურატურას საქმეში მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენება ჰქონდა, სიმართლეს არ შეესაბამება. – ბრალდების მხარე ადასტურებდა, რომ მხოლოდ ერთი პირის ჩვენება არ იყო საქმეში წარმოდგენილი. მოწმის ჩვენებაში მითითებული გარემოებები დასტურდებოდა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ, ეს იყო გიორგანაშვილის იმჟამინდელი ადგილმდებარეობა, როცა მოხდა ნარკოტიკული საშუალების გადაცემა, ასევე სხვადასხვა დეტალები, რომლებიც საქმეში მრავლად იყო წარმოდგენილი.

სასამართლომ სრულად გაიზიარა ის გარემოება, რომ იყო ორგანიზებული ჯგუფი, რადგან ირაკლი ქორიძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სწორედ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში და ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში, – აღნიშნა ჩოჩიამ.

ის სასამართლოს გადაწყვეტილებას დასაბუთებული განაჩენის ჩაბარების შემდეგ გაასაჩივრებს.

***

– თუ გიორგანაშვილი უდანაშაულოა, მაშინ ქორიძე როგორ არის დამნაშავე? ან ორივე უნდა გამართლებულიყო, ან ორივე დასჯილიყო. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარი გადაწყვეტილება გამოაცხადა მოსამართლემ, – განაცხადა ირაკლი ქორიძის ადვოკატმა, დავით კორკოტაშვილმა.

მისივე განმარტებით, გიორგი გიორგანაშვილსა და ირაკლი ქორიძეს ორგანიზებულ დანაშაულს ედავებოდნენ, გიორგანაშვილის გამართლებით კი ეს გამოირიცხა. შესაბამისად, მისთვის მოსამართლის გადაწყვეტილება გაუგებარია.

– გიორგი გიორგანაშვილის გამართლება თავისთავად გულისხმობდა ირაკლი ქორიძის გამართლებას, ვინაიდან გამოძიება ედავებოდა ირაკლი ქორიძეს, რომ გიორგანაშვილთან ერთად ჩაიდინა დანაშაული. თუ გიორგანაშვილი უდანაშაულოა, ქორიძე როგორ არის მაშინ დამნაშავე? ან ორივე უნდა გამართლებულიყო, ან უნდა დასჯილიყო.

შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარი გადაწყვეტილება გამოაცხადა მოსამართლემ.

დადასტურდა, რომ ორგანიზებული ჯგუფი არ ყოფილა, გიორგანაშვილი გამართლდა. რა ჯგუფზეა საუბარი? ასეთ შემთხვევაში ახალი ვერსია უნდა შემოგვთავაზოს სასამართლომ იმ ქმედების, რაც ქორიძემ ჩაიდინა. თუ ერთად არ ჩაუდენიათ, ქორიძემ დამოუკიდებლად ჩაიდინა, მაშინ უნდა გვითხრან, როგორ ჩაიდინა? ეს ძალიან საინტერესო მოსასმენი იქნება, – განაცხადა კორკოტაშვილმა.

მისი განცხადებით, მოსამართლემ ირაკლი ქორიძის შემთხვევაში ზეწოლას ვერ გაუძლო.

– ვერ გეტყვით, ქორიძის შემთხვევაში რა მტკიცებულებებს დაეყრდნო, ჩემთვის უცნობია. ჩავიბარებთ გადაწყვეტილებას და დეტალურად შემდეგ ვისაუბრებთ, – დასძენს ადვოკატი.

ის სასამართლოს გადაწყვეტილებას დასაბუთებული განაჩენის ჩაბარების შემდეგ გაასაჩივრებს.

– მთელი გულით ვულოცავ გიორგი გიორგანაშვილს და მის ოჯახს ამ უდიდეს გამარჯვებას. სამართალმა, როგორც იქნა იზეიმა, ამდენი ხნის განმავლობაში მიდიოდა საუბარი, რომ გიორგი გიორგანაშვილი უდანაშაულო იყო, ეს დღეს დამტკიცდა. იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება, თუმცა, ირაკლი ქორიძის იმ განაჩენით, რომელიც სასამართლომ გამოაცხადა, დაცვის მხარე უკმაყოფილოა.

რა თქმა უნდა, დაცვის მხარე გავასაჩივრებთ, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, აუცილებლად მივაღწევთ მიზანს, რომ ირაკლი ქორიძეც არის უდანაშაულო მოცემულ საქმეზე, – აცხადებს კორკოტაშვილი.



# ბესო ბარათელი და ია გვიშიანი გარდაცვლილი იპოვეს

## ისინი 1 თვის დაქორწინებული იყვნენ

თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დაიღუპა.

როგორც „ნიუპოსტს“ ოჯახის ახლობელმა განუცხადა, გარდაცვლილები 28 დეკემბერს დილით იპოვეს. ისინი ბესო ბარათელი და ია გვიშიანი არიან, რომლებიც ერთი თვის წინ დაქორწინდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240 მუხლის, მესამე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

# ალმაშენებლის ხეივანში ტაქსი მეეზოვეს დაეჯახა

## 70 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა



თბილისში, ალმაშენებლის ხეივანში ტაქსი ფეხით მოსიარულეს შეეჯახა. შეჯახების შედეგად 70 წლამდე მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, რაც ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილი მამაკაცი მეეზოვეა და შემთხვევის დროს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

# ტრამპი: „ამერიკა მსოფლიო პოლიციელი ვერ იქნება!“

ერაყში არაოფიციალური ვიზიტით ჩასული ტრამპი მხოლოდ ამერიკელ სამხედროებთან შეხვედრით შემოიფარგლა. ერაყის პრემიერ-მინისტრთან დაგეგმილი შეხვედრა გაუქმდა. ტრამპმა სამხედროებს სიტყვით მიმართა. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სირიიდან ჯარის გამოყვანა აუცილებელი იყო:

– ზოგიერთი გენერალი მეუბნებოდა, ჯარის გამოყვანა ნაადრევია, ისლამური სახელმწიფო ჯერ არ არის საბოლოოდ დამარცხებულიო. მათ ვუპასუხე, რომ ტერორისტების განადგურებისთვის საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ.



აშშ-ის პრეზიდენტმა კვლავ გაიმეორა ძველი თეზისი: „ამერიკა უწინარეს ყოვლისა!“ მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ შორეული ქვეყნების შიდა საქმეებში არ უნდა ერეოდეს.

– ამერიკას არ შეუძლია, იყოს მსოფლიოს პოლიციელი, – ამბობს ტრამპი.

პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა მოსაზრება, რომ ავღანეთში დისლოცირებული 14.000-იანი ამერიკული კონტინგენტი შემცირდება 7.000-მდე. ამას გარდა, ტრამპის აზრით, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი, თუ რა ესაქმება აშშ-ს რიგ შორეულ ეგზოტიკურ ქვეყანაში, სადაც მისი ჯარისკაცები თავიანთ მხედრულ მისიას ასრულებენ.

– ზოგჯერ მეჩვენება, რომ ვიღაცები ჩვენ, უბრალოდ, გვიყენებენ. ამერიკელი მეომრები ისეთ ქვეყნებშიც ილვწიან, რომელთა არსებობა ალბათ ბევრს არც გაგიგიათ! ისმის კითხვა: ვის სჭირდება ეს?! – განაცხადა ტრამპმა.

დასასრულს პრეზიდენტი ისევ სირიის პრობლემას მიუბრუნდა. მან ხაზი გაუსვა, რომ ერაყში ამერიკული ბაზა დარჩება. ამერიკა დაეხმარება თურქეთსა და საუდის არაბეთს, თუ ისინი სირიაში რამის გაკეთებას გადაწყვეტენ.

– ჩვენ საამისოდ მუდამ მზად ვართ, – თქვა ტრამპმა.

## რუსეთი პრინც მუჰამად სალმანს მხარს უჭერს

რუსეთის წარმომადგენელმა ახლო აღმოსავლეთში ბოგდანოვმა განაცხადა, რომ კრემლი მხარს უჭერს საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინც მუჰამად სალმანს. როგორც ცნობილია, სწორედ პრინცია ეჭვმიტანილი ჟურნალისტ ჰაშოგის მხეცური მკვლელობის ორგანიზებაში.



ბოგდანოვმა განაცხადა, რომ მუჰამად სალმანის მიმართ წაყენებული ბრალდებები სიმართლეს არ შეესაბამება და ისინი ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შეთითხნეს. მუჰამად სალმანი ცნობილია თავისი კონტაქტებით მოსკოვთან. ვაშინგტონსაც სურს, მის ტახტზე ასვლას ხელი შეუშალოს. საუდის არაბეთის ამჟამინდელი მეფე 82 წლისაა. მის ერთ-ერთ რეალურ მემკვიდრედ სწორედ მისი ვაჟი, მუჰამად სალმანი განიხილება.

– ამერიკელებს ვაფრთხილებ, რომ საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრის საქმეებში არ ჩაერიონ, – დაიმუქრა ბოგდანოვი.

## უკრაინამ აზოვის ზღვაზე კონტრდივერსიული ნაწილები შექმნა



უკრაინელმა სამხედროებმა აზოვის ზღვაზე საფორტიფიკაციო ნაგებობების აღმართვა დაიწყეს. განხორციელდა ღონისძიებები ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერების, აგრეთვე უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებსა და გაერთიანებულ სამხედრო ძალებს შორის კოორდინაციისთვის.

მიზანი აზოვის ზღვაზე რუსული დესანტის შესაძლო გადმოსხმის, აგრეთვე რუსი დივერსანტების საქმიანობის აღკვეთაა.

## ავღანეთი: განხორციელდა დარტყმა ტერორისტებზე

ავღანეთში, ნანგახარის პროვინციაში, ამერიკელების მიერ განხორციელდა დარტყმა ტერორისტების ბაზაზე. შედეგად ლიკვიდირებულ იქნა მსხვილი ბანდიტი, ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენელი ავღანეთში აზიზ ალი აზამი.

მშვიდობიანი მოსახლეობა არ დაზარალებულა.





## გერმანია ევროპაში ახალი ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგია

როგორც ცნობილია, აშშ საშუალო და მცირე რაკეტებთან დაკავშირებული შეთანხმებიდან გამოვიდა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაასმა განაცხადა, რომ ევროპაში ახალი ბირთვული რაკეტების განთავსების წინააღმდეგია.

– ევროპა გამალებული შეიარაღების არეალი არ უნდა გახდეს, – ამბობს მაასი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## პენსიონერმა მეუღლის კიბოსგან განკურნება შეიტყო და მილიონი მოიგო

აშშ-ის მცხოვრებმა შეიტყო, რომ მისი ცოლი კიბოსგან სრულიად განიკურნა და მალევე მილიონი დოლარი მოიგო კაზინოში.

85 წლის ჰაროლდ მაკდაუელმა, ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ლეიკვუდიდან, შეიტყო, რომ მისი მეუღლის ორგანიზმში სიმსივნის კვალიც კი არ იყო დარჩენილი. ქალმა ღვიძლისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს გამო რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა, მეორე დღეს კი კაცი ატლანტიკ-სიტის კაზინოში წავიდა და იქ მილიონი დოლარი მოიგო.

პენსიონერმა გადაწყვიტა, პოკერი ეთამაშა და ხუთი დოლარი დადო. როგორც ჩანს, საუბარია იმ მოთამაშეზე, რომელმაც მილიონი დოლარი იმის წყალობით მოიგო, რომ აგურის ფლეშ-როიალი დაუჯდა.

ოდნავ მოგვიანებით მამაკაცმა აღიარა, რომ მისთვის ამ მოგებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი მეუღლის განკურნება იყო. წყვილმა გადაწყვიტა, მოგებული თანხის ნაწილით კრუიზი მოიწყოს, ხოლო დანარჩენი თანხა შვილებს გაუნაწილონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბურთს მხოლოდ ინგლისსა და იტალიაში გააგორებენ

## სტატისტიკა, ფსონები

წლის ბოლოს ბურთს მხოლოდ ინგლისსა და იტალიაში გააგორებენ. საინტერესო მატჩი რომელია? ალბათ ლივერპული-არსენალი. თუმცა, ლივერპული ისე თამაშობს პრემიერლიგაში, ალბათ მორიგ გამარჯვებას მოიპოვებს. ეს მეორე წრის პირველი ტურია. პირველი წრე კი ლივერპულმა ისე ჩაამთავრა, რომ არ წაუგია. ეს კი პრემიერლიგის ისტორიაში მეოთხედ მოხდა.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.12 ტოტენჰემი-ვულვზი | 1.35 | 5.0 | 9.5 |
| 29.12 ბრაიტონი-ევერტონი | 3.4 | 3.3 | 2.2 |
| 29.12 ფულემი-ჰადერსფილდი | 2.0 | 3.25 | 4.2 |
| 29.12 ლესტერი-კარდიფი | 1.55 | 4.0 | 6.5 |
| 29.12 უოტფორდი-ნიუკასლი | 1.78 | 4.0 | 6.5 |
| 29.12 ლივერპული-არსენალი | 1.47 | 4.5 | 7.0 |
| 30.12 კრ.პალასი-ჩელსი | 5.0 | 3.5 | 1.7 |
| 30.12 საუთჰემპტონი-სიტი | 10.0 | 5.5 | 1.3 |
| 30.12 ბარნლი-ვესტ ჰემი | 3.25 | 3.4 | 2.25 |
| 30.12 მანჩესტერი-ბორნმუთი | 1.35 | 5.25 | 8.5 |

**ტოტენჰემი-ვულვზი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ერიკ დაიერი, იან ვერტოგენი, ვიქტორ ვანიამა, მუსა დემბელე

**ვულვზი:** *ტრავმ*-**დიოგო იოტა**

ბრაიტონი-ევერტონი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ხოსე იზქუერდო, შონ დაფი, ალირეზა ჯაჰანბაკში

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ

**ფულემი-ჰადერსფილდი**

ფულემი: ***ტრავმ***-ანდრე ზამბო ანგისა

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ტომი სმიტი, აარონ მოი, დანიელ უილიამსი, აბდელჰამიდ საბირი

**ლესტერი-კარდიფი**

ლესტერი: ***ტრავმ***-დანიელ ამარტეი

კარდიფი: ***ტრავმ***-ჯაზ რიჩარდსი

**უოტფორდი-ნიუკასლი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ანდრე გრეი, სებასტიან პროდი, ვილ ჰაგესი, დარილ იანმაატი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-კირონ კლარკი, ჯონჯო შელვეი

**ლივერპული-არსენალი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ჟოელ მატიპი, ჯო გომესი

არსენალი: ***ტრავმ***-ექტორ ბელერინი, ჰენრიკ მხითარიანი, შკოდრან მუსტაფი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

**კრ.პალასი-ჩელსი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე

ჩელსი: ***ტრავმ***-ვიქტორ მოსესი

**საუთჰემპტონი-სიტი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-რაიან ბერტანდი

სიტი: ***ტრავმ***-ვინსენტ კომპანი, დავიდ სილვა, დანილო, ბენჯამინ მენდი, კლაუდიო ბრავო

**ბარნლი-ვესტ ჰემი**

ბარნლი: ***ტრავმ***-აარონ ლენონი, სტივენ დეფო, სტივენ ვარდი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მარკო არნაუტოვიჩი, რაიან ფრედერიკსი, ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი

**მანჩესტერი-ბორნმუთი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ალექსის სანჩისი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-სტივ კოკი, დან გოსლინგი, ადამ სმიტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 19 | 16 | 3 | 0 | 43-7 | 51 |
| 2.ტოტენჰემი | 19 | 15 | 0 | 4 | 42-18 | 45 |
| 3.სიტი | 19 | 14 | 2 | 3 | 51-15 | 44 |
| 4.ჩელსი | 19 | 12 | 4 | 3 | 37-16 | 40 |
| 5.არსენალი | 19 | 11 | 5 | 3 | 41-25 | 38 |
| 6,მანჩესტერი | 19 | 9 | 5 | 5 | 37-31 | 32 |
| 7.ლესტერი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-22 | 28 |
| 8.ევერტონი | 19 | 7 | 6 | 6 | 31-29 | 27 |
| 9.ვესტ ჰემი | 19 | 8 | 3 | 8 | 27-28 | 27 |
| 10.უოტფორდი | 19 | 8 | 3 | 8 | 26-27 | 27 |
| 11.ვულვზი | 19 | 7 | 5 | 7 | 20-22 | 26 |
| 12.ბორნმუთი | 19 | 8 | 2 | 9 | 27-33 | 26 |
| 13.ბრაიტონი | 19 | 6 | 4 | 9 | 21-27 | 22 |
| 14.კრ.პალასი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-25 | 19 |
| 15.ნიუკასლი | 19 | 4 | 5 | 10 | 14-26 | 17 |
| 16.საუთჰემპტონი | 19 | 3 | 6 | 10 | 20-35 | 15 |
| 17.კარდიფი | 19 | 4 | 3 | 12 | 18-38 | 15 |
| 18.ბარნლი | 19 | 3 | 3 | 13 | 17-41 | 12 |
| 19.ფულემი | 19 | 2 | 5 | 12 | 17-43 | 11 |
| 20.ჰადერსფილდი | 19 | 2 | 4 | 13 | 12-34 | 10 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.12 იუვენტუსი-სამპდორია | 1.2 | 6.5 | 17.0 |
| 29.12 ჯენოა-ფიორენტინა | 2.7 | 3.2 | 2.75 |
| 29.12 პარმა-რომა | 4.8 | 3.7 | 1.75 |
| 29.12 სასუოლო-ატალანტა | 3.5 | 3.5 | 2.1 |
| 29.12 ემპოლი-ინტერი | 6.5 | 4.33 | 1.5 |
| 29.12 უდინეზე-კალიარი | 2.4 | 3.1 | 3.25 |
| 29.12 ლაციო-ტორინო | 1.7 | 3.75 | 3.25 |
| 29.12 კიევო-ფროზინონე | 2.25 | 3.1 | 3.5 |
| 29.12 ნაპოლი-ბოლონია | 1.25 | 5.8 | 13.0 |
| 29.12 მილანი-სპალი | 1.47 | 4.2 | 7.5 |

**იუვენტუსი-სამპდორია**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ხუან კუადრადო, ჟოაო კანსელო, ანდრეა ბარძალი

სამპდორია: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო, ბარტოშ ბერეჟინსკი

**ჯენოა-ფიორენტინა**

ჯენოა: ***ტრავმ***-ლუკა მაზიტელი, ნიკოლა დალ მონტე, იური მედეიროსი, ნიკოლას სპოლი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-რიკარდო სოტილი

**პარმა-რომა**

პარმა: ***ტრავმ***-ალესიო და კრუზი, ალბერტო გრასი, ფედერიკო დიმარკო, ფრანსისკო სიერალტა

რომა: ***ტრავმ***-ანტე ჩორიჩი, ლორენცო პელეგრინი, შტეფან ელ შაარავი, დანიელე დე როსი

**სასუოლო-ატალანტა**

სასუოლო: ***ტრავმ***-ალფრედ დანკანი, ფილიპ ჯურიჩიჩი, კევინ-პრინს ბოატენგი, კლოდ აჯაპონგი, ჯერემი ბოგა

ატალანტა: ***ტრავმ***-ალი ადნანი

**ემპოლი-ინტერი**

ემპოლი: ***ტრავმ***-რადე კრუინიჩი

ინტერი: ***ტრავმ***-მირანდა, კვადვო ასამოა

**უდინეზე-კალიარი**

უდინეზე: ***ტრავმ***-სამირი, ლუკაშ ტეოდორჩუკი

კალიარი: ***ტრავმ***-ლეონარდო პავოლეტი, ლუკა ჩეპიტელი, დარიო სრნა, ლუკას კასტრო, ხარალამპოს ლიკოგიანისი

**ლაციო-ტორინო**

ლაციო: ***ტრავმ***-მარტინ კასერესი

ტორინო: ***ტრავმ***-სალვატორე სირიგუ

**კიევო-ფროზინონე**

კიევო: ***ტრავმ***-ფაბრიციო კაჩიატორე, ივან რადოვანოვიჩი, მანუელ პუჩიარელი

ფროზინონე: ***ტრავმ***-რაი ვლოეტი, მარკო კაპუანო, ემილ ჰალფრედსონი

**ნაპოლი-ბოლონია**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ალანი

ბოლონია: ***ტრავმ***-ანდრეა პოლი, ერიკ პულგარი

**მილანი-სპალი**

მილანი: ***ტრავმ***-ფრანკ კესიე, ტიემუ ბაკაიოკო, ფაბიო ბორინი, ჯაკომო ბონავენტურა, ლუკას ბილია

სპალი: ***ტრავმ***-სიმონე მისიროლი, გაბრიელ მონჩინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 18 | 16 | 2 | 0 | 36-10 | 50 |
| 2.ნაპოლი | 18 | 13 | 2 | 3 | 34-15 | 41 |
| 3.ინტერი | 18 | 11 | 3 | 4 | 30-14 | 36 |
| 4.ლაციო | 18 | 9 | 4 | 5 | 27-20 | 31 |
| 5.სამპდორია | 18 | 8 | 5 | 5 | 31-21 | 29 |
| 6.მილანი | 18 | 7 | 7 | 4 | 24-19 | 28 |
| 7.რომა | 18 | 7 | 6 | 5 | 32-24 | 27 |
| 8.ტორინო | 18 | 6 | 8 | 4 | 23-18 | 26 |
| 9.ატალანტა | 18 | 7 | 4 | 7 | 33-25 | 25 |
| 10.ფიორენტინა | 18 | 6 | 7 | 5 | 25-18 | 25 |
| 11.სასუოლო | 18 | 6 | 7 | 5 | 28-26 | 25 |
| 12.პარმა | 18 | 7 | 4 | 7 | 17-21 | 25 |
| 13.კალიარი | 18 | 4 | 8 | 6 | 17-23 | 20 |
| 14.ჯენოა | 18 | 5 | 4 | 9 | 25-35 | 19 |
| 15.სპალი | 18 | 4 | 5 | 9 | 14-25 | 17 |
| 16.ემპოლი | 18 | 4 | 4 | 10 | 22-36 | 16 |
| 17.უდინეზე | 18 | 3 | 6 | 9 | 14-23 | 15 |
| 18.ბოლონია | 18 | 2 | 7 | 9 | 13-26 | 13 |
| 19.ფროზინონე | 18 | 1 | 7 | 10 | 12-36 | 10 |
| 20.კიევო | 18 | 0 | 8 | 10 | 13-35 | 8 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

# ლაშა ტალახაძე ყველა ვერსიით საუკეთესოა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სპორტისა და ოლიმპიზმის პოპულარიზაციისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

2018 წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული ძალოსნობის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, გიორგი ასანიძეს მიენიჭა.

2018 წლის საუკეთესო პარასპორტსმენი ქალის ტიტული ირმა ხეცურიანმა მოიპოვა. ქართველმა ეტლით მოფარიკავემ მიმდინარე წელს მსოფლიოს თასი ხუთჯერ მოიგო, არის ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი.

2018 წლის საუკეთესო პარასპორტსმენი კაცი კი ზვიად გოგოჭურია – მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო თასის 2-გზის გამარჯვებული პარაძიუდოში.

ალსანიშნავია, რომ გასულ წელს საუკეთესო სპორტსმენი არ დასახელებულა, ამიტომ სამინისტრომ 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მიანიჭა გენო პეტრიაშვილს – 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში.

**სპეციალური პრიზები გადაეცათ:**

2017 წელს ნაჩვენები სპორტული შედეგებისთვის პრიზი მიიღო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ;

წლის აღმოჩენა გიორგი ჩაკვეტაძე – საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი;

საერთაშორისო აღიარება ზვიად პატარიძე – 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების ვერსიით;

სპორტულ მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა ოლიმპიური ნაკრების სამედიცინო პერსონალი;

2018 წლის საუკეთესო ლეგიონერის პრიზი მიიღო თორნიკე შენგელიამ, საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელმა;

43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის დაჯილდოვდა გია გიორგაძე, ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი;

ზამთრის სპორტის სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის პრიზი გადაეცა ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს მარიამ გიორგობიანს;

მსოფლიოში საქართველოს პოპულარიზაციისთვის დაჯილდოვდნენ ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) – იმპერატორის თასისა და ოძეკის ტიტულის მფლობელი პირველი ქართველი პროფესიონალი სუმოისტი; ზაზა ფაჩულია – ნბას ორგზის ჩემპიონი, გოლდენ სტეიტ ვორიორზის შემადგენლობაში და ნიკოლოზ ბასილაშვილი – დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ატპის ტურნირების პირველი ქართველი ჩემპიონი, მსოფლიოს 21-ე ჩოგანი.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ რესტორან „ბიარ თაიმში" 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინა და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებიც დააჯილდოვა.

გამარჯვებულები სპორტული მედიის წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდნენ, 1, 2 და 3 ქულით მათ ნომინანტებს შესაბამისად მესამე, მეორე და პირველი ადგილები მიანიჭეს.

**საუკეთესო სპორტსმენი**

მთავარ ნომინაციაში გამარჯვებული ძალოსანი ლაშა ტალახაძე გახდა, რომელმაც აშხაბადში გამართული მსოფლიოს 84-ე ჩემპიონატი ოქროს მედლითა და 7 რეკორდით დაასრულა. ტალახაძე წლის საუკეთესო სპორტსმენად ზედიზედ მესამედ აღიარეს. მეორე ადგილი ნიკოლოზ ბასილაშვილს ერგო, რომელმაც ჰამბურგისა და ბეიჯინგის მასტერსები მოიგო და მსოფლიო რეიტინგში – 21-ე ადგილზე აღზევდა (კარიერაში საუკეთესო შედეგი), მესამე პოზიცია კი თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილს ერგო, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

1. **ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა);**
2. **ნიკოლოზ ბასილაშვილი (ჩოგბურთი);**
3. **გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა).**

**საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი**

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ნომინაციაში, რომელშიც, საბედნიეროდ, არჩევანის გაკეთება ძალიან რთული იყო, გამარჯვება წილად ბელგიური გენტისა და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის შემტევ გიორგი ჩაკვეტაძეს ხვდა. მეორე ადგილს ევროპის მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ძალოსანი რეზი დავითაძე დასჯერდა. საპატიო სამეული ბუდუჩნოსტისა და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ტალანტმა გოგა ბითაძემ დაასრულა.

1. **გიორგი ჩაკვეტაძე (ფეხბურთი);**
2. **რეზი დავითაძე (ძალოსნობა);**
3. **გოგა ბითაძე (კალათბურთი).**

**საუკეთესო მწვრთნელი**

საუკეთესო მწვრთნელის სამეულის გამოცხადება კალათბურთელთა ეროვნული გუნდის თავკაცის, ბერძენი ილიას ზუროსის გვარით დაიწყო, მეორე ადგილზე ფეხბურთელთა ნაკრების დამრიგებელი სლოვაკი ვლადიმირ ვაისი გავიდა, გამარჯვებული კი ძალოსანთა ხელმძღვანელი, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე გახდა, რომელმაც აღნიშნული ჯილდო ზედიზედ მესამედ მიიღო.

1. **გიორგი ასანიძე (ძალოსნობა);**
2. **ვლადიმირ ვაისი (ფეხბურთი);**
3. **ილიას ზუროსი (კალათბურთი).**

**საუკეთესო გუნდი**

საუკეთესო გუნდის წოდება, ფეხბურთელთა ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც უეფას ერთა ლიგის დ დივიზიონის ჯგუფური ეტაპი პირველი ადგილით, 6-დან 5 გამარჯვებით (1 ფრე) და ნახევარფინალის საგზურით დაასრულა. ამ ნომინაციაში ფეხბურთელებმა ძალოსანთა და მოჭადრაკეთა ეროვნული გუნდები დაჯაბნეს.

1. **ფეხბურთელთა ნაკრები;**
2. **ძალოსნობის ნაკრები;**
3. **ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები.**

**საუკეთესო ქალი სპორტსმენი**

საუკეთესო ქალი სპორტსმენი სამბოში ორგზის ევროპის ჩემპიონი ნინო ოძელაშვილი გახდა, რომელმაც რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს მედალი ჩამოიტანა. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად ძალოსან ანასტასია გოტფრიდს და კიდევ ერთ სამბისტ ელენე ქებაძეს ერგოთ.

1. **ნინო ოძელაშვილი (სამბო);**
2. **ანასტასია გოტფრიდი (ძალოსნობა);**
3. **ელენე ქებაძე (სამბო).**

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კეილორ ნავასი შესაძლოა არსენალში აღმოჩნდეს




მადრიდის რეალის მეკარე კეილორ ნავასი შესაძლოა ლონდონის არსენალში აღმოჩნდეს. ნავასმა ხმამაღლა ისაუბრა იმაზე, რომ მას სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ აწყობს, ამიტომ სურს, სხვა კლუბში გააგრძელოს კარიერა.

თავის მხრივ არსენალში ბოლომდე კმაყოფილები არ არიან გერმანელი მეკარის ბერდ ლენოს თამაშით, რომელიც სტაბილურობით არ გამოირჩევა. ბრაიტონთან შეხვედრაში ლენოს შეცდომის გამო არსენალმა მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა.

ნავასი რეალში 2015 წლიდან თამაშობს და მან გუნდთან ერთად ზედიზედ სამჯერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მოგება.

# ჯეიმს მილნერი არსენალთან არ ითამაშებს




ჯეიმს მილნერმა ტრავმა მიიღო, რომლის გამოც ის არსენალთან შეხვედრას გამოტოვებს. მის მაგივრად, სავარაუდოდ, ალბერტო მორენო ითამაშებს, რომელიც დიდი ხანია ძირითად შემადგენლობაში არ გამოჩენილა.

არსენალთან შეხვედრა 29 დეკემბერს, თბილისის დროით 21.30 საათზე დაიწყება. ლივერპული 51 ქულით პრემიერლიგას ლიდერობს და მეორეადგილოსან ტოტენჰემს 6 ქულით უსწრებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## საჰაერო ბუშტმა საზღვარზე გადაიფრინა და გოგონას საჩუქრები მოუტანა



ამერიკის არიზონის შტატის მცხოვრებმა მექსიკიდან ჩამოფრენილი საჰაერო ბუშტი იპოვა, რომელსაც სანტა-კლაუსისთვის განკუთვნილი სურვილების წერილი ახლდა. მან წერილის გამომგზავნი გამოთვალა და საჩუქრები უყიდა.

დეკემბრის შუა რიცხვებში 60 წლის რენდი ჰეისმა, რომელიც მექსიკის საზღვრიდან დაახლოებით 32 კილომეტრში მდებარე ქალაქ პატაგონიაში ცხოვრობს, ძაღლთან ერთად სეირნობის დროს წითელი ფერის ჩაფუშული საჰაერო ბუშტი აღმოაჩინა. მასზე ბაფთით მიბმული იყო წერილი საჩუქრების სიით, რომელიც ესპანურ ენაზე იყო დაწერილი. გოგონა სანტა-კლაუსს სთხოვდა თოჯინებს, სახლს მათთვის და სახატავ საშუალებებს. გამგზავნელმა წერილს უბრალოდ მიაწერა თავისი სახელი დაიამი და არ მიუთითებია არც საკუთარი მისამართი და არც ტელეფონის ნომერი.

]ჰეისმა ივარაუდა, რომ წერილი საჰაერო ბუშტით მექსიკის ქალაქ ნოგალესიდან იყო გაგზავნილი, რომელიც აშშ-ის საზღვართან ახლოს მდებარეობს. მან ნაპოვნის თაობაზე ინფორმაცია სოციალურ ქსელებში განათავსა და ემდეგ ფეისბუქის საშუალებით პოპულარულ საქალაქო რადიოსადგურს დაუკავშირდა. რამდენიმე დღეში წამყვანმა პირდაპირ ეთერში ისაუბრა ნაპოვნი გზავნილის თაობაზე. ერთ საათში რადიოსადგურს დაიამის ოჯახი დაუკავშირდა. მათ აღიარეს, რომ არ ჰქონდათ თანხა საჩუქრების შესაძენად და მათი რვა წლის გოგონა სასწაულის იმედად დარჩა. წამყვანმა ჰეისსა და მის მეუღლეს მექსიკელების ოჯახთან შეხვედრა შესთავაზა.

ამერიკელმა რჩევა ყურად იღო. მან და მისმა მეუღლემ სიაში მითითებული ყველაფერი იყიდეს, თოჯინების სახლის გარდა, ვინაიდან ის მაღაზიაში აღარ ჰქონდათ, ასევე — საჩუქრები გოგონას ოთხი წლის დისთვის. შემდეგ კი 45 წუთში ჩავიდნენ ნოგალესში, სადაც რადიოსადგურის ოფისში შეხვდნენ ბავშვებს და თავი სანტას თანაშემწეებად წარუდგინეს, რის შემდეგაც მათ საჩუქრები გადასცეს.

## რვა წლის ბავშვმა დაბრმავებამდე ყველა სურვილი აისრულა

იშვიათი დაავადებით დაავადებულმა რვა წლის ბავშვმა, ბრიტანელმა ფრედ ჰოუიმ, სრულ დაბრმავებამდე სიაში ჩამოწერილი ყველა სურვილი აისრულა.

ბავშვმა მიმდინარე წლის მაისში სახელი მას შემდეგ გაითქვა, როდესაც ბრიტანულმა გამოცემამ მისი ისტორია გამოაქვეყნა, რომელშიც განმარტა, რომ მას ძალიან უყვარს სხვადასხვა საგნების ყურება და დახატა ყველაფერი, რისი ნახვაც კი სურდა მსოფლიოში. ამის შედეგად, მან ნახევარი წლის განმავლობაში მოასწრო ეიფელის კოშკზე ასვლა, გაიცნო მიკი მაუსი, ზოოპარკში ზედამხედველად და მატარებლის მემანქანედ მუშაობდა. მან ასევე ლიმუზინით გაისეირნა ქალაქ იორკის მერთან ერთად და ავსტრიის მთებში თხილამურებით ისრიალა.



მას თან ახლდნენ მისი 47 წლის დედა კარენ ნიუელი, 46 წლის მამა დეივ ჰოუი და 10 წლის და ევა. ყველა მისი სურვილის ასრულება გამოცემის მკითხველების წყალობით მოხერხდა, რომელთაც ბავშვის სურვილების ასრულებაში დახმარება მის ოჯახს თავად შესთავაზეს.

ბიჭმა ყველაზე დასამახსოვრებლად დისნეილენდში ყოფნა დაასახელა. ოჯახი ამაზე შეჩერებას არ აპირებს და მათ გეგმაშია ლეგოლენდის, ჰარი პოტერის და მეფე ლომის სტუდიების მონახულება, ასევე საფარიზე გამგზავრება და მუზეუმების დათვალიერება.

ჰოუის იშვიათი დაავადების გამო მისი ცალი თვალი, მხოლოდ სინათლეს აღიქვამს, ხოლო მეორე თვალით მხოლოდ ორ მეტრში ხედავს. მისი განკურნება შეუძლებელია და მალე ის სრულიად დაკარგავს მხედველობას.

## ბრიტანელების ოჯახი მოპარულ ძაღლს ორი წელი ეძებდა და ბოლოს სახლში დააბრუნა



ოჯახმა დიდი ბრიტანეთიდან მოახერხა ძაღლის პოვნა, რომელიც მათ ორი წლის წინ მოჰპარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

2016 წლის დეკემბერში 45 წლის ტრიში ჯოზეფს ექვსი წლის ინგლისური სპრინგერ-სპანიელი, სახელად ბელი მოჰპარეს. იმისთვის, რომ ძაღლი ეპოვათ, ოჯახი ფეისბუქში გახსნილ 500 ჯგუფში გაწევრიანდა, რომლებშიც შინაურ ცხოველებს ყიდიან.

21 დეკემბერს მათ ნახეს განცხადება ძაღლის გაყიდვის თაობაზე, რომელიც მათ ბელის ჰგავდა. ის 19 წლის ახალგაზრდამ განათავსა, რომელიც მათი საცხოვრებლიდან 110 კილომეტრში მდებარე ქალაქში ცხოვრობდა. როდესაც ისინი მას დაუკავშირდნენ, გაირკვა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ძაღლი მასთან ცხოვრობდა. მან ცხოველის გაყიდვა იმის გამო გადაწყვიტა, რომ, თავისი სამსახურიდან გამომდინარე, მის მოვლას ველარ ახერხებდა.

— მას წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რომ ძაღლი მოპარული იყო და ამ ინფორმაციამ საშინლად დაამწუხრა, — განაცხადა ჯოზეფმა. ახალგაზრდასთან შეხვედრის შემდეგ კი მათი ეჭვები გამართლდა.

— ერთი თვალის შევლება საკმარისი აღმოჩნდა იმის მისახვედრად, რომ ის ბელი იყო, — ამბობს ჯოზეფი. მისივე თქმით, ძაღლი ძალიან შეეჩვია ახალ პატრონს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ძალიან კარგი ადამიანია.

— ჩვენ რაღაცნაირად გულიც კი გვეტკინა, როდესაც ბელი მისგან მოგვყავდა, — აღიარა ქალმა, — თუმცა ჩვენ არასოდეს დაგვიკარგავს მისი პოვნის იმედი და ახლა ცოტა რთული დასაჯერებელიც კია, რომ ის, ბოლოს და ბოლოს, სახლში დაბრუნდა.

## ქალიშვილის საჩუქარმა მამა კინაღამ საიქიოს გაისტუმრა



ავსტრალიაში ქალიშვილმა მამას შობის წინ ნიჟარა აჩუქა, მაგრამ მასში ჩამალულმა რვაფეხებმა ოჯახის უფროსი კინაღამ იმსხვერპლეს.

24 დეკემბერს დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ პერტის მცხოვრები აარონ პიკსი ბავშვებთან, 11 წლის სოფისთან და 7 წლის უილთან ერთად სანაპიროზე სასეირნოდ წავიდა. ბიჭი პლაჟზე თამაშობდა, ხოლო გოგონა წყალში ნიჟარების ამოსაღებად ყვინთავდა. მან ორი საოცარი ფორმის ნიჟარა ამოიღო და მამას აჩუქა. მამამ ნიჟარები ჯიბეში ჩაიდო, რათა სახლში მისვლის შემდეგ ისინი გამოერეცხა.

სახლში მისულმა აარონმა ნიჟარებში აღმოაჩინა რვაფეხები, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შხამიან ცხოველებად ითვლებიან. ერთ-ერთი მათგანი ნიჟარის რეცხვის დროს ხელზე დაეცა, მეორე კი მის ჯიბეში იჯდა.

— ისინი სოფიმ ამოიღო და ეს, შესაძლოა, კატასტროფით დამთავრებულიყო. ამასთან, რვაფეხა ჩემი შარვლის ჯიბეში 15-20 წუთი იჯდა, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პიკსმა. მან რვაფეხებზე ინფორმაცია ინტერნეტში მოიძია და გამოარკვია, რომ მათი კბენა უმტკივნეულოა.

— შენ შეიძლება, არც კი იცოდე, რომ გიკბინა და რამდენიმე წუთში მოკვდები. ძალიან მძიმე იყო იმის გაფიქრება, რომ, შესაძლოა, ჩემი ბავშვების თვალწინ მოვმკვდარიყავი, — დაამატა ავსტრალიელმა.

ოჯახმა სასწრაფო გამოიძახა და აარონი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მან სამი საათი დაჰყო. მოლუსკის საცეცებთან შეხებისგან მამაკაცს ფეხზე მცირე წყლული გაუჩნდა, თუმცა, საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## ტურისტმა ქალმა სათამაშო ავტომატებში მილიონი დოლარი მოიგო

ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში ტურისტმა ქალმა კათოლიკური შობის წინა დღეს მილიონი დოლარი სათამაშო ავტომატში მოიგო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

დიდი ბრიტანეთიდან ლას-ვეგასში ჩასულმა ქალმა თამაში დილიდან დაიწყო და სათამაშო ავტომატ „იღბლიან ბორბალთან" საათ-ნახევარი გაატარა. ბორბლის 960-ე დატრიალების შემდეგ მან ჯეკპოტი 1.023.743 დოლარი მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ბორბლის ერთი დატრიალება ხუთი დოლარი ღირს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 29 დეკემბრისათვის



**ვერძი** — ფინანსური მდგომარეობა ნელა, მაგრამ საფუძვლიანად გიუმჯობესდებათ. საქმიან პარტნიორებთან შეთანხმებას მიაღწევთ. **კურო** — შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გამოისწოროთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **ტყუპები** — ოჯახში სიყვარული და ჰარმონია სუფევს. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ხელი არ გეშლებათ. **კირჩხიბი** — სასიკეთო ცვლილებების დღეა. მოსალოდნელია თქვენთვის ხელსაყრელი შემოთავაზება. **ლომი** — სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია. დღეს ნუ ეცდებით ახალი საქმის დაწყებას. **ქალწული** — მოაწესრიგეთ საქმიანი ქაღალდები. იღბლიანი პერიოდია მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად. **სასწორი** — თუ ახალ საქმეს დაიწყებთ, კონკრეტულ შედეგს მიიღებთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. **მორიელი** — საყიდლებზე წასვლა არ გაამართლებს. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. ნეგატიური აზრებისგან გათავისუფლებაში სპორტი დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** — იუპიტერის მფარველობის მეოხებით ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. საქმე გულმოდგინედ და დიდი პასუხისმგებლობით აკეთეთ. **თხის რქა** — რთული დღეა. ახალი ნაცნობობა საკმაოდ ხანმოკლე და არაფრისმომცემია. ემოციებს ნუ აჰყვებით. **მერწყული** — ინტუიციას ნუ მიენდობით. შესაძლოა შეცდომა დაუშვათ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **თევზები** — გაუცხოებას გრძნობთ. ახალ შემოთავაზებას უცებ ნუ დათანხმდებით. სავარაუდოდ, ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ.

### 30 დეკემბრისათვის

**ვერძი** — კეთილისმყოფელი დღეა სულიერი განვითარების თვალსაზრისით. ასევე აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. მიზანს იოლად მიაღწევთ. **კურო** — პრობლემების მოგვარებაში ოპტიმიზმი და თავდაჯერებულობა გეხმარებათ. წვრილმანებზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ. **ტყუპები** — გარშემომყოფებთან ურთიერთობისას წინდახედულობა გმართებთ. დაუფიქრებელი ლაპარაკი საქმეს გაგიფუჭებთ. **კირჩხიბი** — ახლობელ ადამიანთან შეხვედრა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. **ლომი** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ჩანაფიქრი მალე აგისრულდებათ. **ქალწული** — მოსალოდნელია სოლიდური ფინანსური ხარჯები. იფრთხილეთ, არასაჭირო კონტაქტებს თავი აარიდეთ. **სასწორი** — მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. რადიკალური ცვლილებებისაგან თავი შეიკავეთ. **მორიელი** — შესაძლოა ხელსაყრელი შემოთავაზება მიიღოთ. იყავით გაბედული და შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **მშვილდოსანი** — ენერგიულად ხართ. იზრდება როგორც თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა, ასევე გარშემომყოფების დარწმუნების უნარი. **თხის რქა** — წინააღმდეგობრივი დღეა. მიზანს მხოლოდ მოთმინებისა და გონიერების მეშვეობით მიაღწევთ. **მერწყული** — ნებისმიერ სიტუაციაში სიდინჯეა საჭირო. აჩქარებით საქმეს გააფუჭებთ. **თევზები** — ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. მიმდინარე მოვლენებს ემოციურად ნუ აღიქვამთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 2. საჭმელი სოკო; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. სახელმწიფო აზიაში; 6. ფოტოჟურნალისტთა მეტსახელი; 8. სისხლძარღვებში გაჩენილი სისხლის შენადედი; 11. ებრაული სამლოცველო; 12. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 16. პატარა საცხოვრებელი სახლი ჩინეთში; 17. მუსლიმთა კალენდარი; 18. სპირტიანი სასმელი.

**თარაზულად:** 1. მარგალიტის ყელსაბამი; 5. რაიმეს მიმდინარეობის, განხორციელების სისწრაფე; 7. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. ხეხილის ბაღი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება, დასახლება ისრაელში; 15. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. უნგრული წვნიანი კერძი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 21. მარტივი, უმოტორო საფრენი აპარატი; 22. რძის პროდუქტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. ასტანა; 6. კაპიტანი; 8. არაგვი; 11. ბოტანიკა; 12. იოკასტე; 16. კანოე; 17. თოიძე; 18. ბროლა.

**თარაზულად**: 1. პროლოგი; 5. ტუსკი; 7. სუფიქსი; 9. ზანდური; 10. მარშალი; 13. ვენდეტა; 14. როდენი; 15. ფოკა; 19. ბალზაკი; 20. ბოტსვანა; 21. ჰეინიკენი; 22. ხანუკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბუსეტო; 2. აუდიტი; 3. ნაფტუსია; 4. ალპები; 6. რედისონი; 8. შტურმი; 11. ჰაბანერა; 12. კოდექსი; 16. გოგრა; 17. გიუმი; 18. დაიმი.

**თარაზულად**: 1. ბოქაული; 5. სქური; 7. ჰანტელი; 9. ეგვიპტე; 10. ხერსონი; 13. მანიანი; 14. მადონა; 15. გობი; 19. სექვოია; 20. სიტროენი; 21. გალაქტიკა; 22. კაბუკი.

# სოფო ბედია ბიჭის დედა გახდა



მომღერალი სოფო ბედია და მისი მეუღლე მიშა მესხი ბიჭის მშობლები გახდნენ.

პატარა გაგუას კლინიკაში 27 დეკემბერს გაჩნდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ახალშობილს მშობლებმა ანდრია დაარქვეს.

სოფოსთვის ეს მეორე ბიჭია. მას პირველი ქორწინებიდან მომღერალ მიშა შაყულაშვილთან ნიკოლოზი ჰყავს.

# ნინო ქათამაძე ნიჭიერთა ათწლედს კლავიშიანი ინსტრუმენტების შეკეთებაში დაეხმარება



მომღერალმა ნინო ქათამაძემ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედისთვის“ ქველმოქმედება გასწია.

ყველასათვის საყვარელი, უნიჭიერესი ქართველი მომღერლის, საყოველთაოდ აღიარებული ვარსკვლავის, ნინო ქათამაძის დახმარებით, უახლოეს მომავალში, სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედში“ კლავიშიანი ინსტრუმენტების შეკეთება მოხდება.

# ოთო ნემსაძემ დუეტი ცოლთან ჩაწერა



მომღერალმა ოთო ნემსაძემ მეუღლესთან, მსახიობ სოფო მეძმარიაშვილთან ერთად დუეტი ჩაწერა.

„თოვს“ ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც წყვილმა ვიდეორგოლიც გადაიღო.

სიმღერა და ვიდეო საახალწლო თემაზეა და მასში ოთოს და სოფოს უახლოესი ადამიანები მონაწილეობენ. მათ შორის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის შვილი ანა მარგველაშვილი.

სოფოს და ოთოს ერთობლივი ნამუშევრის პრეზენტაცია ასა ჰოლში გაიმართა, მოგვიანებით კი სიმღერაზე შექმნილი ვიდეორგოლი ინტერნეტში გავრცელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, წყვილის სიმღერამ და ვიდეომ ბევრი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

# სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პროფესიონალ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი, ქალბატონი

## ნანული ჭავჭანიძე

იგი 1961 წლიდან 2004 წლამდე იყო საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი. მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული რადიო და ტელეგადაცემებისთვის დაჯილდოებულია ვერცხლის მედლით, ხოლო რადიოფილმისთვის „17 სიხარული“ მიენიჭა ლაურეატის წოდება. შეყვანილია ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ საიუბილეო კრებულში „XXI საუკუნის უდიდესი ქალბატონები“. არის ავტორი და გამომცემელი რუსეთში ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემული სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი ოთხტომეულის „პროფესიაში გამორჩეულნი“, ასევე წიგნების „ქართველი პედაგოგები მოსკოვში“, „ჩვენი ღირსეული მამულიშვილები“, „საქართველოს ინჟინერი ქალები“ და სხვა. მის მიერ მომზადდა და გამოიცა 21 ტომი დასახელებით: „ჩვენ საქართველოს ქალები“, სადაც გაშუქებულია საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე 2000-ზე მეტი წარმატებული ქალბატონის ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით პროფესიონალ ქალთა ასოციაციის წევრებთან ერთად წლების მანძილზე ხდებოდა ქალთა ჟურნალის „ჩვენ ქალები“ ყოველკვარტალური გამოცემა.

ქალბატონმა ნანულიმ მართლაც ღირსეულად განვლო ოთხმოცი წელი ქვეყნისა და ერის სამსახურში.

პროფესიონალ ქალთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მისი ამქვეყნიდან გასვლის გამო და უსამძიმრებს გარდაცვალებულის ოჯახს.

**პროფესიონალ ქალთა გამგეობის წევრები**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩინებული ადამიანისა და მოქალაქის, სამეცნიერო ცენტრის დიდი მეგობრის

## სერგო გოცირიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# დემნა გვასალია: „გადაჭარბებული პოპულარობა ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა“

აცხადებს ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია ერთ-ერთი უცხოური გამოცემისთვის მიღემულ ინტერვიუში და თავისი წარმატების საიდუმლოებაზე საუბრობს.

***— სელებრითობას როგორ შეეჩვიე?***

— არა მგონია, ოდესმე შევეჩვიო. სელებრითობა ჩემი პიროვნების ნაწილი არაა და მეეჭვება, რომ მომავალში გახდება.

***— რატომ არ იყენებ სოციალურ ქსელებს შენი ყოველდღიურობის გასაზიარებლად?***

— მე ვფიქრობ, რომ ანონიმურობა ჩვენი დროის ყველაზე დიდი ფუფუნებაა.

***— რას ეტყოდა დღევანდელი დემნა გვასალია 30 წლის დემნა გვასალიას?***

— „წადი საფრანგეთის სამხრეთში და შეხვდი იმ ბიჭს!“ ის ჩემი ცხოვრების ცვლილებას წარმოადგენს.

***— როგორ შეიცვალა შენი ცხოვრება?***

— აღარ ვსვამ, დილით დავრბივარ, მედიტაცია დავიწყე, იშვიათად დავდივარ წვეულებებზე, რადგან სახლში, ოჯახთან მინდა ყოფნა. სიყვარულს დრო მიაქვს და დრამებისთვის აღარ მრჩება.

***— დემნა გვასალიამ დაიწყო მედიტაცია, როგორ?***

— ვიცი სასაცილოა, ეკრანთან ვიჯექი და სანთლის დნობას ვუყურებდი. მოთმინების უნარი საერთოდ



არ მაქვს, მიჭირს ერთ ადგილზე ყოფნა. თავში ერთდროულად ბევრი აზრი მიტრიალებს და ვცდილობ, ღრუბლებივით გავფანტო. ახლა ყოველდღე ვცდილობ ამით დავკავდე. როცა დატვირთული დღეა და შეხვედრებს შორის 1 საათი არ მაქვს, 10 წუთი გავდივარ ცალკე ოთახში და ვცდილობ მედიტაციას, შემდეგ ისევ ვბრუნდები. მეხმარება.

***— ორ ბრენდში მუშაობა ბევრ შემოქმედს ანადგურებს, როგორ უძლებ?***

— ყველაზე რთული დროის მენეჯმენტია. არ მინდა ვიყო ადამიანი, რომელსაც სამსახურის გამო ახლობლებისთვის დრო არასდროს აქვს. ამ ინდუსტრიას ხშირად ცუდი რეპუტაცია აქვს, მაგრამ აქ ბევრი კარგი ადამიანი მუშაობს. ისინი, რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადიან, უფრო თავმდაბლები ხდებიან.

***— ამბობენ, რომ ვეტმანი შვიდმა ანონიმურმა დიზაინერმა შექმნა.***

— სისულელეა, ვეტმანი შევქმენი მე ჩემს ორ მეგობართან ერთად. ჩვენ ლუი ვიტონში ერთად ვმუშაობდით. სამუშაოს შემდეგ ჩემს სახლში ვიკრიბებოდით. ღვინოს ვსვამდით და ჩვენს სამსახურზე ვწუწუნებდით.

***— ალბერ ელბაზმა ერთხელ თქვა, რომ თავის ტანსაცმელს ცოცხალ არსებებად აღიქვამს და მათთან კავშირი აქვს. შენ თუ გქონია ასეთი განცდა?***

— არა, ეგეთი სენსიტიურიც არ ვარ. თუმცა ერთხელ ღამე სტუდიაში მარტო ვიყავი, ფანჯარა ღია იყო და მთვარე ჩანდა, თითქოს რაღაც ეგეთი ვიგრძენი, მაგრამ ზოგადად არა.

***— ძალიან პოპულარული გახდი, არ ნერვიულობ, რომ შეიძლება ეს შეიცვალოს?***

— ზედმეტი ყურადღება და გადაჭარბებული პოპულარობა ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა, ეს თავისით მოვიდა და ალბათ დაგვტოვებს, რაც ნორმალური და მისაღებია.

# ქართველი დიზაინერები სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის გაერთიანდნენ

ცნობილი ქართველი დიზაინერები სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად გაერთიანდნენ.

„სოლიდარობის ფონდმა“ საქველმოქმედო საღამო ჩაატარა, რომლის მიზანიც სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად თანხების მობილიზება და საზოგადოებისთვის ქველმოქმედების მნიშვნელობის შეხსენება იყო.

ქველმოქმედების იდეის გარშემო ამჯერად ქართველი ცნობილი დიზაინერები გაერთიანდნენ. მათ გასაყიდად წარმოადგინეს ტანსაცმელი და აქსესუარები. გაყიდვიდან მოგროვილი თანხა სრულად გადაირიცხა ფონდში.

საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს თამუნა ინგოროყვამ, გიორგი ქებურიამ, ანუკი არეშიძემ, ავთანდილ ცქვიტინიძემ, აკა ნანიტაშვილმა, ტატუნა ნიკოლაიშვილმა, მარიამ გვასალიამ, ლაშა ჯოხაძემ, ნინა ზარქუამ, ანუკა ქებურიამ...

საქველმოქმედო საღამოზე, რომელსაც სასტუმრო „მოქსმა“ უმასპინძლა, გაიყიდა საახალწლო ხელნაკეთი ნივთები და ტკბილეული.

სოლიდარობის ფონდი 2014 წელს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა. ფონდმა დღემდე ონკოლოგიური დაავადებების მქონე 600-ზე მეტი ბავშვისა და 22 წლამდე მოზარდის მკურნალობა და დიაგნოსტიკა დააფინანსა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

ფონდის შექმნიდან დღემდე მობილიზებულია 15 000 000 ლარზე მეტი. სოლიდარობის ფონდის ამოქმედებიდან საქართველოში, უსახსრობის გამო, სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი და ახალგაზრდა არ დაღუპულა.

# ქართული კინოს 110 წლის იუბილე გამოფენით აღინიშნება

ქართული კინოს 110 წლის იუბილე ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში სპეციალური გამოფენით აღინიშნება.

„ქართული კინო“ — ასეთია ექსპოზიციის სახელწოდება, სადაც ქართული კინოს გადაღების ისტორიის ამსახველი საინტერესო და მრავალფეროვანი მასალაა წარმოდგენილი, 1920-იან-1980-იან წლებში გადაღებული კინოფილმების გადასაღები მოედნების ამსახველი ფოტოები და ქართული მხატვრული ფილმების აფიშები. ფილმებს შორისაა: „ჩემი ბებია“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „არდადეგები“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „პასტორალი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ფეოლა“, „მხიარული რომანი“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „ვერის უბნის მელოდიები“...




გამოფენაზე ასევე შედგა ამავე თემაზე შექმნილი ეროვნული არქივის 2019 წლის კალენდრების პრეზენტაციაც.

გამოფენა იანვრის ბოლომდე გაგრძელდება და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# სამოდელო სააგენტო „კატრინის“ ხელმძღვანელ ეკა მგალობლიშვილს მანქანა დაუწვეს



სამოდელო სააგენტო „კატრინის“ ხელმძღვანელ ეკა მგალობლიშვილს მანქანა დაუწვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა ნინი შერმადინმა გაავრცელა:

— გავიღვიძე და დამხვდა ეს ამბავი.... არ ვიცი, რა ვთქვა, შიში არ ჰქვია ამ გრძნობას, უფრო თავზარი დამეცა, როცა დავინახე, ზუსტად სახლის ფანჯრების წინ, როგორ დაუწვეს მანქანა ჩემ დაქალს, ადამიანს, რომელსაც მტერი არ გააჩნია... ადამიანს, რომელიც მოსიარულე სიკეთე და ქველმოქმედებაა...

იმედია, გამოძიება დაადგენს, ვისი ნამოქმედარია და მკაცრად დასჯის არა იმიტომ, რომ მანქანა დაწვა, იმიტომ, რომ ამდენ ხალხს საფრთხე შეუქმნა...

ძალიან მტკივა გული, ამდენ გაბოროტებულ ადამიანს რო ვხედავ ჩემ პატარა ქვეყანაში... ნუ გეშინია ეკუ, ყველაფერი გაირკვევა და ყველაფერი მაგრად იქნება.

თავად ეკა მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ 4 წლის წინ მისი მანქანის დაწვას მისთვის უცნობი პიროვნება ცდილობდა:

— 4 წლის უკან, ვიღაც X-მა გადაწყვიტა ჩემი მანქანა დაეწვა, რომელიც მეზობლების წყალობით გადარჩა. მიუხედავად კამერებიდან ამოღებული მასალისა, დამნაშავე მაინც თავისუფლად და ლაღად დააბიჯებს ქუჩებში. დღეს გამთენიისას კი აისრულა საწადელი და მანქანა სრულიად დაწვა, აგრეთვე დააზიანა ირგვლივ მყოფი ავტომობილები. მანქანა დაზღვეული მაქვს, მაგრამ ყოველ წუთს უნდა მეშინოდეს?! არასოდეს არანაირ თემაზე „არ ამომიღია ხმა“, არ გავჩერდები, ვიდრე დამნაშავე დასჯილი არ იქნება! შენ კი საჯაროდ მოგმართავ, გამოჩნდი და გაგვაგებინე, რა გინდა? მანიაკო და ბოროტო ადამიანო!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6639

ევრო — 3.0326

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3734

100 რუსული რუბლი — 3.8449

## ამინდის პროგნოზი 29 დეკემბრისთვის





## 25 დეკემბრიდან




შიო გვეტაძე

# მონანიება

თოვლიან ქუთაისში გვიან ღამით ბოროტმოქმედები ქურდავენ ტყეშელიაძის ბინას. მოულოდნელად იღვიძებს ბინის პატრონი, ქურდებთან ბრძოლას იწყებს და ერთ-ერთ ბანდიტს მძიმედ დაჭრის. ბანდიტი გარბის.

იწყება გამოძიება, რომლის დროს გამოჩნდება კანონიერი ქურდი საშკა ჩერქეზი, რომელიც მთელ იმდროინდელ საბჭოთა ქურდულ სამყაროს შიშის ზარს სცემს.

გამომძიებელი ლევან მინდელი საშკა ჩერქეზს კვალში ჩაუდგება. მათი მოულოდნელი შეხვედრა ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 3 იანვრიდან




იორამ ჩადუნელი

# საზღაური

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## გვარდიოლა: „მანჩესტერ სიტის დაცვაში პრობლემები აქვს“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს დაცვაში ცუდად თამაშის ბრალია:

– რამდენიმე შეხვედრაა, ჩემს გუნდს ვერ ვცნობ. სეზონის სტარტზე ჩვენი დაცვა კარგად გამოიყურებოდა, ახლა კი აშკარად არის ჩავარდნები, რის გამოც ბევრ გოლს ვუშვებთ და უკვე საკმაოდ ქულები დავკარგეთ. მომავალში ასეთი შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

მანჩესტერ სიტიმ ბოლო 4 ტურში 3 თამაში წააგო და პრემიერლიგის ცხრილში მესამე საფეხურზე ჩამოქვეითდა.

## მოდრიჩს რეალიდან წასვლა სურს



მადრიდის რეალის ხორვატ ნახევარმცველს ლუკა მოდრიჩს რეალიდან წასვლა სურს. მოდრიჩმა რეალს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი უთხრა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ლუკას რეალში დიდხანს დარჩენა აღარ სურს.

ზაფხულში უკვე იყო საუბრები იმის შესახებ, რომ მოდრიჩს ინტერში სურდა გადასვლა, მაგრამ ეს ტრანსფერი რეალმა დაბლოკა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ რეალს უნდოდა ინტერისთვის უეფაში ეჩივლა.

მოდრიჩი ჯერჯერობით თავის მომავალზე კომენტარს არ აკეთებს. შეგახსენებთ, რომ ლუკა მოდრიჩმა 2018 წელს ოქროს ბურთის მოგება შეძლო.

## პსჟ-ს შესაძლოა მბაპეს ან ნეიმარის გაყიდვა მოუწიოს

პსჟ-ს მიმართ უეფა გამოძიებას აწარმოებს, რომელიც ფინანსურ ფეირ პლეის ეხება. პარიზულ გუნდს შესაძლოა ზაფხულში მბაპეს ან ნეიმარის გაყიდვა მოუწიოს იმისთვის, რომ დახარჯულ და შემოსულ თანხებს შორის ბალანსი აღდგეს.

პსჟ-მ სასწრაფოდ უნდა გამოძებნოს გამოსავალი, რადგან თუ ამას ვერ მოახერხებს, უეფა მომავალი წლის ჩემპიონთა ლიგაზე პარიზულ გუნდს არ დაუშვებს.

ჯერჯერობით პსჟ-ს ხელმძღვანელობა კომენტარს არ აკეთებს და მას ამ პრობლემის მოსაგვარებლად არც ისე ბევრი დრო დარჩა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

კაცი ქალს ეუბნება:
– იქნებ შენობით მიმართვაზე გადავსულიყავით?
– მოვლენებს ხომ არ აჩქარებთ? აჯობებს ჩემი ბუსჰალტერი მომაწოდოთ...
– და სად არის?
– იატაკზე აგდია, თქვენი ტრუსიკის ქვეშ...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– თანამედროვე მამაკაცების დეგრადაცია სახეზეა.
– რას გულისხმობ?
– რას და ახლა მეზობელთან მარილის სათხოვნელად შესულს, მართლა მარილს მაძლევს.

●●●

ახალგაზრდა ბარში ზის და ლუდს წრუპავს. ამ დროს მასთან გოგონა მივა და ეუბნება:
– თუ გსურს, დღეს კარგად დაისვენო, მე ბელა მქვია...
– და თუ კარგად დასვენება არ მსურს, მაშინ რა გქვია?

●●●

ერთი ლექტორი მეორეს ეუბნება:
– იცი, რა დასკვნამდე მივედი?
– რა?
– რა და ცოლები, სამწუხაროდ, ბერდებიან, ხოლო მესამე კურსის სტუდენტი გოგონები – არა!

●●●

სასწრაფოში ტელეფონის ზარია და ბავშვის ხმა კითხულობს:
– ალო, ეს სასწრაფოა?
– დიახ, რით შეგვიძლია, დაგეხმაროთ?
– რაც შეიძლება ჩქარა მოდით. მამა ჭკუიდან შეიშალა. წითელი ფერის ხალათი, ჩექმები ჩაიცვა და ყველას გვეუბნება, რომ თოვლის პაპაა.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– აშოტ, რაღაცაში უნდა გამოგიტყდე.
– რა გინდა?
– ბავშვი შენი არ არის.
– მა ვისია?
– სანტეხნიკ ლოვასი.
– რას მატყუებ, ის ფხიზელი არც კი შემოგხედავს.
– დავათვრე.
– ისევ მატყუებ, ეგ სასმელში ფულს არ გადაიხდიდა.
– მე ვუყიდე.
– და ფული საიდან?
– შენ არ მომეცი?
– ფული ჩემი იყო? „ზნაჩიტ“ ბავშვიც ჩემია, რა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

- გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
- ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
- კანის დაავადებები
- უროლოგია
- გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ლაშა ტალახაძე ყველა ვერსიით საუკეთესოა



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ რუსთაველის თეატრში გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა.

2018 წლის სპორტსმენის ტიტულის მფლობელი გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი, ძალოსანი ლაშა ტალახაძე.

2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი ასევე ძალოსანი რეზი დავითაძეა – ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი უფროსებს შორის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

ნომინაციაში 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენი არაოლიმპიურ სახეობებში, გაიმარჯვა ლევან საგინაშვილმა. ქართველი მკლავჭიდელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია.

2018 წლის საუკეთესო მსაჯი გახდა ელისო ბედოშვილი – საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მხატვრულ ტანვარჯიშში.

2018 წლის საუკეთესო ფედერაციის წოდება საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ დაიმსახურა 2018 წელს მოპოვებული განსაკუთრებული სპორტული შედეგებისთვის.

2018 წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი გახდა ნინო ოძელაშვილი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი სამბოში, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი საჭიდაო სახეობებში.

2018 წლის საუკეთესო გუნდი წოდება მიენიჭა ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს უეფას ერთა ლიგაში მოპოვებული წარმატებისთვის.

2018 წლის აღიარება – ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, რომელსაც იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

2018 წლის საუკეთესო მენეჯერი გახდა ლევან კობიაშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთკორეული გემთმშენებელი კომპანია; 2. ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 3. ეპიკური პოემა „ილიადას“ ავტორი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 6. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირი; 8. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 11. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 12. კბილების დაავადება; 16. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 17. სახელმწიფო ევროპაში; 18. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი.

**თარაზულად:** 1. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 5. წნული ქოხი სამეგრელოში; 7. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 9. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 10. მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა; 13. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 15. ჩეხური მოტოციკლეტი; 19. მაბეზღარას, ჯაშუშის ძველებური სახელწოდება; 20. ტყუპი ცხოველის ქართული სახელწოდება; 21. ქართული მინერალური წყალი; 22. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა.




**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**